სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N17 (9233) 20 ივნისი. 2017 წელი ფასი 50 თეთრი

ის, რისთვისაც ვეჩოჰას 60 წელი ულაყირდა

2

2

წერილი მინისტრის სახელზე: "ალტკომის" მუშები გაიფიცნენ

"აბ ვიცით? ვიცით"

აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ სალიკვიდაციო სამუშაოები ძალაში შევიდა

3

როცა მოსახლეობა არ მიდის ექიმთან, ექიმი თავად მიდის მასთან

5

საფრთხე სოსიერ და ხვიდა საქმეზე

ლირსეულები ცხირად რჩებიან ჩრდილში

"გვირილა" მოგზაურებლის სიმპათიებს იმსახურებს

ფოლკლორულ ფესტივალზე სამტრედია ორი ანსამბლით წარსდგა

6

ქალზე დრამატული ჩემპიონატის გამარჯვებული ვანის გუნდია

როცა მოსახლეობა არ მიდის ექიმთან, ექიმი თავად მიდის მასთან

თეა ბაბუნაშვილი

უფასო სამედიცინო კვლევები ბოლო წლებში უცხო ხილი აღარ არის მოსახლეობისთვის. განსაკუთრებით ხშირად ისინი C ჰეპატიტისა და ონკოლოგიური დაავადებების სკრინინგისთვის კეთდება. მოსახლეობის ცნობიერებაში იმის გათავისება, რომ დაავადების საწყის ეტაპზე გამოვლენა და დროული მკურნალობა მისი დამარცხების უპირველესი წინაპირობაა, ამ უფასო აქციების მნიშვნელოვანი დატვირთვაა. სახელმწიფო მზადაა ისეთი ვერაგი ვირუსის დამარცხებაში, როგორიც C ჰეპატიტია, მოსახლეობას დახმარება გაუწიოს. როგორც ცნობილია, მკურნალობის კურსი სრულიად უფასოა. უფასოა პირველადი გამოკვლევებიც. ქალაქის შემდეგ სამტრედიაში გომის თემში ჩავიდნენ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის იმერეთის რეგიონის წარმომადგენლები და სპეციალისტები მოსახლეობისთვის გამოკვლევების ჩასატარებლად. ამჯერად გამოკვლევა იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა.

იმ დროისთვის, როცა იქ მუნიციპალიტეტის გამგებელთან, ვალერი ფოცხვერიასთან ერთად იმერეთის გუბერნატორის მოადგილეები პაატა ნადირაძე და იოსებ ხახალეიშვილი ჩავიდნენ, 50-ზე მეტი გომელი გახლდათ გამოკვლეული.

როგორც გოჩა გიორგიძემ აღნიშნა: "ჯერ კიდევ 2015 წლიდან, ანუ იმ დროიდან, როცა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა დაიწყო, საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა მისით მოსარგებლეთა რიცხვი. მოგეხსენებათ, იგი

სავსებით უფასოა პაციენტთათვის, მაშინ, როცა სახელმწიფოს პროგრამის ფარგლებში ერთი პაციენტის მკურნალობა სამი თვის განმავლობაში 250 ლარი უჯდება. აქციები უფასო სკრინინგი, ბუნებრივია, სხვა რაიონებსა და რეგიონებშიც გაგრძელდება."

იმ დღეს გომელებთან ერთად გამოკვლევა პაატა ნადირაძემ და ვალერი ფოცხვერიამაც ჩაიტარეს.

მეორე დღეს კი უფასო გამოკვლევა, კვლავ საყოველთაო ჯანდაცვის ეგიდით, სახელმწიფოს დაფინანსებითა და მოსახლეობისთვის სრულიად უფასოდ, დიდ ჯიხაიშში გაიმართა, თუმცა ამჯერად ონკოლოგიური სკრინინგისთვის. როგორც ოჯახის ექიმმა ოლია ვაშაკიძემ

აღნიშნა, მოსახლეობის აქტიურობა სულ უფრო შესამჩნევია მსგავსი გამოკვლევებისადმი. ქალებისთვის პაპტესტი, მამაკაცებისთვის პროსტატის სიმსივნური დაავადებების კვლევა დიდ ჯიხაიშში უფასო იყო. აქტივობას არც აქ უჩიოდნენ. ის-ის იყო დაწყებულ შემოწმებაზე, უკვე 50-ზე მეტი ადამიანი გახლდათ ნამ-

ყოფი.

როგორც მოსახლეობა აღნიშნავდა, მსგავსი აქციები საჭიროა მათთვის.

ერთი სიტყვით, როცა მოსახლეობა არ მიდის ექიმამდე, ექიმი თავად მიდის მათთან. ეს ბოლო პერიოდში "აპრობირებული" მეთოდი, არაერთ შემთხვევაში აღმოჩნდა დაავადების ადრეულ ეტაპზე დამარცხების მიზეზი. მიუხედავად სადაზღვევო ცვლილებებისა ჯანდაცვის სფეროში, სამედიცინო დაწესებულებებში კონტროლის მიზნით პაციენტის ვიზიტები მაინც დიდი იშვიათობაა საქართველოში. ამგვარი აქციებით ეს პრობლემა რამდენადმე მოწესრიგდება და საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის აუცილებლობის დეფიციტს შეძლებისდაგვარად აღმოფხვრის.

წერილი მინისტრის სახელზე: "ალტკომის" მუშები გაიფიცნენ

ხმაური იყო 20 ივნისს სამტრედიაში. გენო გეგეშიძის ქუჩის პირველ ნომერში მდებარე "საგზაო მშენებლობა ალტკომის" ოფისის წინ მუშა-მოსამსახურეებმა აქცია გამართეს. უკრაინული საწარმო საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვების შედეგად ახორციელებს საერთაშორისო პროექტს, ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთზე 11,5 კილომეტრი გზის მშენებლობას. ამ ეტაპზე სამშენებლო სამუშაოები შეჩერებულია. რამდენიმე თვეა მუშა-პერსონალი ადმინისტრაციის მიზეზით ვერ ასრულებს შრომით საქმიანობას. ფილიალთან შრომით ურთიერთობაში, არასრული სამუშაო საათებით მუშაობას განაგრძობენ ოფისის და ასევე დაცვის თანამშრომლები.

შპს "ალტკომის" სახელფასო დავალიანება სამტრედიის ფილიალის თანამშრომლების მიმართ, დაწყებული 2016 წლის ნოემბრიდან მიმდინარე წლის მაისის ჩათვლით, ხელზე გასაცემი, დაახლოებით 600 000 ლარს შეადგენს.

აქციის მონაწილეები თავს დაზარალებულად და დამცირებულად მიიჩნევენ. მათი მხრიდან არაერთი სიტყვიერი მოთხოვნის და 14 ივნისს კოლექტიური წერილობითი მოთხოვნის გადაცემის მიუხედავად კომპანიის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი ფინანსურ პრობლემებზე აპელირებით უარს აცხადებს სახელფასო დავალიანების დროულ დაფარვაზე და უკვე მერამდენედ ახალ თარიღზე მითითებით ვალდებულების შესრულება განუსაზღვრელი ვადით გადააქვს.

უკრაინული კომპანიის მხრიდან თავს დაზარალებულად თვლიან ადგილობრივი ოჯახები, სადაც "ალტკომს" მუშებისთვის ბინები აქვს დაქირავებული.

არსებული სახელფასო დავალიანების ანაზღაურების პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით დგას კომპანიის ფილიალის ქართველი თანამშრომლების წინაშე, ვინაიდან უკრაინიდან მოწვეულ სპეციალისტებს ხელფასები ერიცხებათ სათაო ოფისის მიერ უკრაინულ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე, დამატებით უნაზღაურდებათ სამივლინებო ხარჯები.

20 ივნისს აქციის მონაწილეებმა კოლექტიური წერილი მოამზადეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს სახელზე.

მოითხოვენ, დაუნიშნონ შრომითი დავის მედიატორი, რათა მიღწეული იქნას შეთანხმება სახელფასო დავალიანების უსწრაფესად დაფარვასთან დაკავშირებით, ან მიეცეთ შესაძლებლობა, დარღვეული შრომითი უფლებები სასამართლოს წესით დაიცვან.

დაზარალებული მუშები იყენებენ მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებას და გაფიცვის ფორმით უარს აცხადებენ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე.

ნინო ნანიტაშვილი

"საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები 2017"

ნინო ნანიტაშვილი

54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო ადმინისტრატორის ვაკანსიაზე მსურველები დარეგისტრირდნენ. შეგახსენებთ, რომ სწავლების ცენტრმა 2017 წლის მაისში გამოაცხადა მიღება, რომელსაც მსმენელები უნდა შეერჩია. განსაზღვრულ ვადებში მოხდა 40-მდე პირის შერჩევა. სამტრედიის მუნიციპალიტეტში ორ ეტაპად დაკომპლექტდა "საარჩევნო ადმინისტრატორის აიფიეს კურსების" მსმენელთა ჯგუფი.

სასწავლო კურსი "საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები 2017" პროექტში მონაწილეთათვის ითვალისწინებს საუბნო-საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გაცნობას, მათ შორის: პირველი სხდომიდან კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელ პროცედურებს, კენჭისყრის პროცესს, საარჩევნო უბნის დახურვას, საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელ პროცედურებს, საარჩევნო ყუთის გახსნას, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედეგენამდე ჩასატარებელ პროცედურებს, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენას, შემაჯამებელი ოქმის საჯაროობას.

სასწავლო კურსს ცესკო და სწავლების ცენტრი საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით 2015 წლიდან ახორციელებს. საორგანიზებული პროექტი სამტრედიის მუნიციპალიტეტში პირველად ჩატარდა. სწავლება დარეგისტრირებულ მსმენელთათვის საარჩევნო პროცესების სიღრმისეულ შესწავლას მტრედიის მუნიციპალიტეტში პროექტი პირველად ხორციელდება

54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში ტრენინგი დაიწყო 12 ივნისს. პირველ ჯგუფს 2 დღის განმავლობაში ასწავლიდნენ კენჭისყრის დღის ყველა იმ პროცედურას, რაც საუბნო საარჩევნო კომისიის სახელმძღვანელოს ინსტრუქციითაა გათვალისწინებული.

მეორე ჯგუფისთვის 15 და 16 ივნისს ჩატარდა იგივე სახის ტრენინგი.

ნანა იმნაძე, 54-ე სამტრედიის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: "ცესკოს სასწავლო ცენტრის მიერ და გუნდურ მუშაობას ითვალისწინებს. ჩართული მხარეები აქტიურები იყვნენ, შევაფასებ მათ ძალიან კარგ მსმენელებად, შესაბამისად გადაეცათ ცესკოს "ადმინისტრატორის კურსების" სერტიფიკატი. თუ მათ საუბნო კომისიის წევრობის სურვილი გაუჩნდებათ, შეუძლიათ, დარეგისტრირდნენ და მიიღონ მონაწილეობა. მათ შერჩევის დროს უპირატესობა ექნებათ, რათა ყველა ის უნარ-ჩვევები გამოავლინეს, რაც უშუალოდ საუბნო-საარჩევნო კომისიისთვის არის პრიორიტეტული".

აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ სალიკვიდაციო სამუშაოები ძალაში შევიდა

ქეთევან ჭელიძე

გურიისა და სამეგრელოს შემდეგ აზიური ფარასონას წინააღმდეგ შეწამვლითი სამუშაოების განხორციელება იმერეთში, კონკრეტულად, სამტრედიაშიც დაიწყო. ამასთან დაკავშირებით სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ზურაბ ჩეკურაშვილი თავის მოადგილესთან, გიორგი იაკობაშვილთან და სააგენტოს სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად ჩვენს მუნიციპალიტეტს ეწვია. მათთან ერთად იმყოფებოდა ლევან თოლორდავაც, სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

აზიურ ფაროსანას წინააღმდეგ სააგენტოსთან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობაც აქტიურად თანამშრომლობს. გამგებლის მოადგილე მამუკა თავაძე შეწამვლასთან დაკავშირებულ საკითხებს კურირებს. 13 ივნისს, როგორც მან აგვიხსნა, 7 სოფელში ერთდროულად დაიწყო თხილის ნარგავების შეწამვლა. მსურველებთან ერთად აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც საერთოდ უარს ამბობს საკუთარ ფართობში წამლის გამოყენებაზე. მელაურის თემში მსგავს ფაქტს ადგილი არ აქვს. პირიქით, როგორც იმ დღეს გამგებლის წარმომადგენელმა სოფიო კიკაჩეიშვილმა განაცხადა, აქაურებს შეწამვლასთან დაკავშირებით პრეტენზია არ გააჩნიათ.

“დაწყებული არ იყო პროცესი და უკვე ჭორები აგორდა მის მავნებლობაზე. სინამდვილეში ასე არ არის. ჩვენ მაინც გამოვიჩინეთ სიფრთხილე და მოსახლეობას ვურჩიეთ, ორი დღის მანძილზე გარეთ არ გამოუშვან ფრინველი, საქონელი მოარიდონ შეწამლულ ადგილებს და გაეყვანათ ფუტკარი. ყველას უნდა საკუთარი ნაკვეთის შეწამვლა, თურქეთიდანაც კი დამირეკეს, აინტერესებთ, რა და როგორ ხდება. იმედიანად ვართ, უყურადღებოდ რომ არ დაგვტოვებთო”. _ ამბობს ის.

“თუ გლეხის საკეთილდღეოდ რამეს გაკეთებენ, მაგას რა ჯობია. წამალი რომ ვიყიდოთ, ჩვენ მაინც ვერ შევძლებთ საკუთარი სახსრებით შეწამვლას. 2000 კვადრატული მიწაზე 190 ძირი თხილი მაქვს გაშენებული. შარშან ცუდი მოსავალი გვქონდა. შეწამვლა, ალბათ, წელს შედეგს გამოიღებს”. _ იმედოვნებს მელაურელი კირილე თევზაძე.

სოფელში სულ 100 ჰექტარი მიწის ნაკვეთია შესაწამლი. ჯგუფები, რომლებიც უკვე შეუდგა მუშაობას, ადგილობრივი მოსახლეობით არის დაკომპლექტებული.

“ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამაა. აზიური ფაროსანა საქართველოსთვის ახალი გამოწვევაა. სპეციალისტების გათვლებით ათეულობით მილიონი ზარალი მიიღო სახელმწიფომ გასულ წელს თხილის კულტურის გამო. ჩვენ შარშან ამერიკელ ექსპერტებთან ერთად შევიმუშავეთ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, დამტკიცდა სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უკვე მესამე ფაზაში შევიდა. ეს არის აქტიური ქიმიური ჩარევები სოფლების დონეზე. გუშინ დაიწყო შეწამვლა გურიაში, სამეგრელოში, დღეს უკვე იმერეთში. ერთადერთი ხელისშემშლელი, რაც შეიძლება, რეალობაში აღმოჩნდეს, არის ამინდი. ალბათ, ისიც შეგვიწყობს ხელს და ის ღონისძიებები, რომლებიც ამ პროგრამით არის გათვალისწინებული ეფექტურად შესრულდება. პასუხი გაეცემა იმ გამოწვევას, რასაც ჰქვია აზიური ფაროსანა.

პანიკამ მოიცვა მოსახლეობა, რომ შეწამვლა უარყოფითი შედეგების მომტანია. ეს გაურკვევლობა გამოიწვია ჭორებმა, ზოგიერთი ადამიანის სკეპტიკურმა შეხედულებამ. სახელმწიფო რასაც გეგმავს, ეს არის კარგად გათვლილი ექსპერტებისა და წამყვანი სპეციალისტების რეკომენდაციებზე. პროგრამა შიშისმომგვრელი კი არა, პირიქით, იმისკენაა მიმართული, რომ მაქსიმალურად შეუნარჩუნდეთ ფერმერებს თხილის მოსავალი.” _ განაცხადა მედიასთან ზურაბ ჩეკურაშვილმა.

შეწამვლის დროს მთავარი უსაფრთხოების დაცვაა. რის შესახებაც მოსახლეობის ინფორმირებულობა სისტემატურად ხორციელდებოდა, მეგაფონებითაც კი. ეს ყველაფერი კარგად იციან იმ ადამიანებმა, ვინც ტრენინგები გაიარეს. სააგენტოს ხელმძღვანელის განმარტებით, უსაფრთხოების წესების დაცვა არის კულტურა, რომელიც ჩვენში თანდათან შემოდის და რომელსაც მხარდაჭერა სჭირდება.

წელიწადში 12-ჯერ წამლავენ ამერიკელები, მაგრამ არსად დაფიქსირებულა პრობლემაო, _ აღნიშნა გიორგი იაკობაშვილმა.

“იქედან სპეციალისტი გვყავდა ჩამოყვანილი და როცა შევეკითხეთ, გაირკვა, რომ ამ პრობლემის შესახებ წარმოდგენაც არ აქვთ. ფუტკართან დაკავშირებით მაქსიმალურად შევეცადეთ თავის დაზღვევას და პირიქით გამოვიდა, უარყოფითი განწყობა წამოვიდა მოსახლეობიდან. ერთი-ორი დღე, თორემ, თვითონ გაუჩნდებათ თავიანთი ნაკვეთების შეწამვლის სურვილი.” _ დასძინა მან.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა მადლობა გადაუხადა სურსათის ეროვნულ სააგენტოს ოპერატიულობისათვის, რაც სამტრედიასთან დაკავშირებით ფაროსანას წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებას მოჰყვა პარლამენტში. აღნიშნა, რომ “აღმოსავლეთ საქართველოში ტერიტორიების შეწამვლას ხშირად აქვს ადგილი, ჩვენთან ეს იშვიათობაა. პანიკის დათესვა მოინდომეს, მაგრამ ხედავთ, რომ ყველაფერი მსოფლიო სტანდარტების დაცვით კეთდება. ვიტყვი, რომ გია მიქელაძის წინადადებამ შედეგი გამოიღო. სურსათის უვნებლობის სააგენტოც პროფესიულად მოქმედებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენ დავამარცხებთ აზიურ ფაროსანას”.

შეწამვლის დაწყებას სამტრედიაში, წინა დღით, მუნიციპალიტეტის გამგეობაში იმ ადამიანებთან შეხვედრა უსწრებდა, ვინც კონკრეტულად ახორციელებს პროცესს. სააგენტოს სპეციალისტებმა სხვადასხვა საკითხზე გაამახვილეს ყურადღება, მათ შორის სპეცაღჭურვილობაზე, მისი მოხმარებისა და უსაფრთხოების წესების დაცვაზე.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლა, სავარაუდოდ, ზაფხულის ბოლომდე გასტანს.

“გვირილა” მომხმარებლის სიმპათიებს იმსახურებს

ნინო ნანიტაშვილი

“ქეა საერთაშორისო მსოფლიოში” ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაციაა, რომელიც სოციალურად და ეკონომიკურად მოწყვლად ადამიანებს ეხმარება.

2015 წლიდან “ქეა საერთაშორისო სამხრეთ კავკასიაში, ქეა ჩეხეთთან თანამშრომლობით და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს” ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს “საქართველოში მცხოვრები შშმ ქალებისთვის დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა”.

პროექტი ხორციელდება დასავლეთ საქართველოს 3, სამტრედიის, სენაკისა და აბაშის მუნიციპალიტეტში. პროექტის მთავარი მიზანია ამ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთა დასაქმებისა და შემოსავლის ზრდის ხელშეწყობა.

“ქეამ” დააფინანსა 5 ადგილობრივი სოციალური საწარმო, სადაც 30 შშმ ქალია დასაქმებული. კერძოდ, სამტრედიაში დაფინანსდა სამკერვალო საწარმო “გვირილა”, სადაც 8 შშმ ქალია დასაქმებული.

პროექტის კოორდინატორის, თეონა მაქაცარიას განმარტებით: “პროექტის მონაწილე სოციალურ საწარმოებს მიეცათ განსაკუთრებული საშუალება, წარმოებაში დაენერგათ თანამედროვე ტექნოლოგიები და შეეძინათ ამისათვის საჭირო აღჭურვილობა, რასაც მათი ბიზნესისა და შემოსავლის საგრძნობი ზრდა მოჰყვა. შედეგად შშმ ქალებს თვითრეალიზების შესაძლებლობა მიეცათ და გაძლიერდა მათი სოციალური უნარებიც, რაც ქალბატონებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია”.

სამტრედიის სამკერვალო საწარმო “გვირილას” დარეჯან სართანია ხელმძღვანელობს. ისიც შშმ ქალბატონია, რომელსაც სამკერვალო საქმიანობაში დიდი გამოცდილება გააჩნია. სამკერვალოში დასაქმებულ ქალებს პროექტის ფარგლებში ტექნიკური ხასიათის გადამზადებაც ჩაუტარდათ სამკერვალო საქმეში, ბუღალტრულ აღრიცხვებში, საოფისე პროგრამებში, ბიზნესის მართვის საფუძვლებში.

“სამკერვალო საწარმო “გვირილაში” იკერება თეთრეული, სასკოლო ფორმები, სხვადასხვა ფორმები, სხვადასხვა უნიფორმები, სამედიცინო ხალათები, შარვლები და სხვა პროდუქტები მოთხოვნის შესაბამისად. პროექტის ფარგლებში შეძენილი იქნა უმაღლესი ხარისხის ნატურალური ქსოვილები, კოტონი და ა. შ. ჩვენი ნაწარმი მოსწონს მომხმარებელს, გვაქვს შეკვეთები. სასურველია, უფრო მეტი მოთხოვნილება იყოს ჩვენს ნაწარმზე”. _ განაცხადა “სამტრედიის მაცნესთან” საუბარში საწარმო “გვირილას” ხელმძღვანელმა დარეჯან სართანიამ.

ის, რისთვისაც ევროპას 60 წელი დასჭირდა

თეა ბაბუნაშვილი

"დავასუფთაოთ საქართველო!" – ქვეყნის ეკოლოგიისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტი, რომელიც შვედეთის მთავრობის ხელშეწყობითა და ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, მესამე ფაზაშია. იგი 2010 წელს დაიწყო. დაიწყო დასუფთავების აქციების მოწყობით, თუმცა მისი მიმდინარეობის პროცესში იგი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების საქმეში, ამ პროექტის მიზეზი და მიზანია. მას სამი არასამთავრობო ორგანიზაცია: "ორქისი", "საქართველოს მწვანეები" და "ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვა" ახორციელებს.

სამტრედიაში რამდენიმე დღის წინ გამართული ტრენინგი, რომელზეც მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პრინციპებზე ისაუბრეს, ინფორმაცია მოგვაწოდეს, თუ რა მდგომარეობაა ლეგალურ და არალეგალურ ნაგავსაყრელებზე ქვეყნის მასშტაბით, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორს, ნარჩენების მართვის ექსპერტს, ხათუნა ჩიკვილაძეს მიჰყავდა. პროექტის პრეზენტაციის ფარგლებში მან საქართველოში ნარჩენების მართვის საკანონმდებლო მოთხოვნებსა და საერთაშორისო ვალდებულებებზე ისაუბრა, ამ პროცესებში ევროპული გამოცდილება გააცნო მის მონაწილეებს. აგრეთვე, ნარჩენების მართვის დაგეგმვის რამდენიმე წესი. საქართველოში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების გავლენის შეფასება, მიმდებარე ტერიტორიების ეკოსისტემების მდგომარეობა და მოსახლეობის ჯანმრთელობა, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის, გარემოს მონიტორინგის ექსპერტის, ნუგზარ ბუაჩიძის საუბრის თემა გახლდათ.

როგორც აღინიშნა, მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის საკითხების მოსაწესრიგებლად, 2012 წელს შექმნილ "მყარი ნარჩენების მართვის კომპანიას" 100%-ით სახელმწიფო აფინანსებს. მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული საკანონმდებლო მოთხოვნები ამ სფეროში მნიშვნელოვან წინაპირობას ქმნის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისთვის.

მყარი ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მოვალეობაა. ამისთვის გამგეობებში შესაბამისი კომისიებიც უნდა შეიქმნას. როგორც აღმოჩნდა, იმ ტრენინგს, სამტრედიაში შექმნილი კომისიის ყველა წევრი ესწრებოდა. კომუნალური გაერთიანების უფროსმა კობა ბიბილეიშვილმა აღნიშნა, რომ ეს გეგმა მუნიციპალიტეტს შემუშავებულიც აქვს. მან გარკვეული რჩევები მიიღო ექსპერტებისგან.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამას სახელმწიფო სრულიად უფასოდ ახორციელებს, ხაზი გაესვა ამ კუთხით მოსახლეობის პასუხისმგებლობის ამაღლების აუცილებლობას. აღინიშნა, რომ პროგრამის მესამე ფაზა, მისი პირველი და მეორე ფაზისგან განსხვავებით, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ტერიტორიების დასუფთავებას გულისხმობდა, სწორედ მოსახლეობის პროექტში ჩართულობაზეა გათვლილი. საუბარი დასუფთავების გადასახადის შემოღების აუცილებლობასაც შეეხო, რაც, სავარაუდოდ, სულზე არა უმეტეს სამი ლარისა იქნება.

გარემოს დასუფთავების მიზნით ჩატარებული კვლევებიდან ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველო გაცილებით უფრო სუფთა რეგიონია, ვიდრე აღმოსავლეთი. საქართველოში ყველაზე დანაგვიანებული მდინარე სურამელაა, ხოლო მდინარეები: იორი, ალაზანი და არაგვი ზედა წელში შედარებით სუფთაა.

ქვეყანაში არსებული 56 ნაგავსაყრელიდან ამ ეტაპზე 39 მოქმედია, თუმცა, სტიქიური, უნებართვო ნაგავსაყრელების რიცხვი ხევებში, მდინარის ნაპირებთან განსაკუთრებით დიდია.

მსგავსი პრობლემის მოსაწესრიგებლად ევროპას 60 წელი დასჭირდა. ამჟამად ევროპის ქვეყნებში ნარჩენების 40% იწვება, 40 % გადამუშავდება, ხოლო 20 % ნაგავსაყრელზე იყრება. შვედეთში კი ნაგავსაყრელები ფაქტობრივად არ არსებობს, რადგან ნარჩენების 50% მუშავდება, 49% იწვება, ხოლო 1% რჩება მხოლოდ. ქართული სტატისტიკით კი ნარჩენების 99% ნაგავსაყრელებზე, ლეგალურსა თუ არალეგალურზე იყრება.

როგორც აღინიშნა, ევროპული სტანდარტების ნაგავსაყრელების მშენებლობა ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ყველაზე შორს 2019 წლისთვის დაიწყება. იმერეთის რეგიონისთვის იგი, დაახლოებით, თერჯოლის ავტობანის მიმდებარედ იქნება.

საუბრისას როგორც ადგილობრივებისგან, ისე სტუმრებისგან ხაზი გაესვა სადამსჯელო ღონისძიებების გააქტიურება-გამკაცრების აუცილებლობას ბუნების დაცვითი და დასუფთავების კუთხით.

მეოთხეკლასელებმა გარემოს დაცვის საკითხებზე იმსჯელეს

ნათია ნაცვლიშვილი

მეოთრმეტე საჯარო სკოლაში არაერთი საინტერესო თემისადმი მიძღვნილი ღონისძიება თუ გაკვეთილი გვინახავს. ამჯერად სკოლის სასწავლო ნაწილის, ხათუნა კოსტავას მიერ ჩატარებულ ბუნების ღია გაკვეთილს ვესწრებით მეოთხე კლასში. "გარემოს ცვლილება და გაჭუჭყიანება" – თემა მრავალმხრივ მსჯელობას და კვლევას მოითხოვს, მართლაც საინტერესო ღია გაკვეთილი შემოგვთავაზა პედაგოგმა. მან ჯგუფი ოთხ გუნდად დაჰყო, სიმბოლურად, გუნდებს სახელებად ბუნებრივი მოვლენების სახელწოდებები "მიწისძვრა", "ვულკანი", "წყალდიდობა" და "შეწყერი" ერქვათ. ყველა გუნდის წევრის მიერ მოყოლილი გაკვეთილი გუნდის წევრებმა ინტერნეტით თუ სხვადასხვა წიგნებიდან მოპოვებული ცოდნით შეავსეს და გაამრავალფეროვნეს.

პედაგოგის მიერ დასმულ შეკითხვებს პატარებმა შესანიშნავად უპასუხეს. ბავშვებმა კარგად იციან, დედამიწას თანდათან სუნთქვა რომ უჭირს და მას შველა უნდა. თქვეს, რომ ჩვენს პლანეტაზე მოსახლეობის ზრდასთან ერთად გარემოს დაბინძურების კოეფიციენტიც მატულობს, ქარხნების თუ მანქანების მავნე გამონაბოლქვი დაავადებათა რიცხვს ზრდის, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურება ადამიანების ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. ამიტომაც დაგვპირდნენ, რომ არ დაანაგვიანებენ მდინარეებს, არ დაყრიან ქუჩაში პოლიეთილენის პარკებს, პლასტმასის ბოთლებს, დარგავენ ხეებს ჩვენს კოპწია ქალაქში და გაალამაზებენ გარემოს. პედაგოგის მიერ მიცემულ დავალებებსაც გუნდებმა ადვილად გაართვეს თავი და სხვადასხვა შეკითხვას ამომწურავად უპასუხეს. თითოეულმა კაპიტანმა რამდენიმე წუთში მომზადებული ნაშრომის პრეზენტაციაც მოაწყო. პედაგოგმა ბევრი საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა ბავშვებს, მათ შორის, 10 ყველაზე საშიში მოქმედი ვულკანის, მსოფლიოში მომხდარი 10 ყველაზე საშინელი წყალდიდობის, ბოლო ასწლეულის 10 ყველაზე დიდი მიწისძვრისა და მეწყერის შესახებ. პედაგოგმა მრავალი თვალსაჩინოება გამოიყენა, ნაჩვენები იქნა სხვადასხვა სტიქიის ამსახველი დოკუმენტური მასალა. გაკვეთილის პროცესში ყველა ბავშვი აქტიურობდა. ბოლოს თავადვე გამოავლინეს ყველაზე საუკეთესო მოსწავლე. პედაგოგის დასმულ შეკითხვაზე, თუ რა არ მოეწონათ პატარებს და რა შენიშვნას მისცემდნენ მას, ბავშვებმა ერთხმად მიუგეს, რომ საუკეთესო პედაგოგი ჰყავთ და მის ყოველ რჩევას გაიზიარებენ.

სკოლის დირექტორი, ხათუნა თელია: "ჩვენი სკოლა ნამდვილად გამოირჩევა თანამედროვე, ინოვაციური გაკვეთილებით, დღევანდელი დღეც ამის საუკეთესო დასტურია, ბავშვებმა საუკეთესოდ წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები. ხათუნა ბრწყინვალე პედაგოგია, ასწავლის დაწყებით კლასებს სხვადასხვა საგანს, მას ელოდებიან მომავალი პირველკლასელები, მინდა წარმატებები ვუსურვო. ერთი წლით მივემგზავრები გერმანიაში, ძალიან მეომედება ჩვენი სკოლა, პედაგოგები, მწამს, შევასრულებთ ღირსეულად ჩვენს მისიას და საუკეთესო შვილებს აღვუზრდით ქვეყანას."

ვინ ჩაიცვამს ჩოხას?

ლევან გაბეჩავა

არაფერია იმაზე მეტად სასიამოვნო, ვიდრე ძალისხმევა ეროვნული ტრადიციების აღდგენისათვის, ქართული ყოფის აღზევება-წარმოჩენისათვის საერთაშორისო სარბიელზე.

ჩოხოსანთა სადროშოები იქმნება ამჯერად საქართველოს ამერ-იმერში, მთასა და ბარში, ღირსეული ერისშვილები ერთიანდებიან შიგ.

მაღალთან _ დაბალი.

თეთრთან _ შავი.

ღირსეულთან _ უღირსნი... თანაცხოვრობენ დედამიწაზე, წარმოუდგენელიცაა სხვაგვარად.

მიუხედავად ამისა, ერთი აზრი (ფიქრი) ამეკვიატა და არ მაძლევს მოსვენებას.

თუკი ამდენ ქართველში ბუდობდა ქართული, ეროვნული საჩოხე სული, რატომ ვდუმდით?

რაში გვჭირდებოდა მავანთა მითითება ჩოხის ჩაცმა თუ გვინდოდა?

ხომ არ ვიხილავთ ჩოხოსნებში უმრავლესობად ყოფილ პარტიულ კადრებს, ან უკვე გამქრალ-მბჟუტავი (ერთ დროს მოგუგუნე) პარტიების ყოფილ აქტივისტებს?

ხომ არ უნდა ველოდოთ ჩოხოსანთაგან პოლიტიკურ განცხადებებს უახლოეს ხანში?

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩოხოსნობა პოლიტიკაში მოსასვლელად ტრამპლინად ხომ არ იქნება გამოყენებული?

კიდევ უფრო გამიმძაფრდა პიროვნული პატივისცემა ბატონების: კობა ძიძიგურის, ლევან ახობაძის, გივი ფრანგიშვილის... მიმართ გაცილებით ადრე რომ მოირგეს და მოიხდინეს ჩოხა,

ყოჩაღ, მათ!

სპარსული ჭრელა-ჭრელა ხალათებითა და თავსაბურავითაც აკეთებდნენ იძულებით რჯულშეცვლილი ქართველი მეფე-დიდებულები ქართულ საქმეს და ეროვნული სამოსითაც.

სული უნდა გვქონდეს საჩოხე, ქართული, წმინდა, თუ არა...

...

მივესალმები ჩოხოსანთა სადროშოების დაარსებას.

ველით მის გაფართოებას, მაგრამ რბილად რომ ვთქვათ, გაოცების უფლებას არ გამოვრიცხავთ, თუ ყოფილი იმ, ამ და კიდევ იმ პარტიელი ვიხილეთ, ჩოხასა და ახალუხში!

საყვარელი სოსოიე და ხატია საქართველოდან

ღირსეულები ხშირად რჩებიან ჩრდილში

თეა ბაბუნაშვილი

ბუნებრივიცაა, ქართული თეატრის დასაბამი საქართველოს დასავლეთთან, იმერეთთან და მის მთავარ ქალაქ ქუთაისთან რომ მჭიდრო კავშირშია. ისტორიული წყაროები ჰყვებიან, ჯერ ისევ კოლხეთის სამეფოში, დღევანდელი ქუთაისის და მაშინდელი აიას მახლობლად ყოფილა არენა, სადაც თეატრალური სანახაობები იმართებოდა. შემდგომი პერიოდიდან დღემდე ქუთაისის თეატრალური ტრადიციები ქართული თეატრის ნიჭიერების, ღირსების, პროფესიონალიზმის თვალსაჩინო მაგალითია.

საკარდო და სამაისო, უკვე მერვე წელია, საფესტივალოც გახდა ქუთაისი. სად, თუ არა მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, "თეატრალური იმერეთი" 27 მაისს დაიწყო და 14 ივნისს დასრულდა. იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტის სახალხო თუ დრამატული თეატრი იღებდა მასში მონაწილეობას.

2002-03 წლებში დაარსებულ "თეატრალურ იმერეთს", 2004 წლიდან წყვეტა ჰქონდა. უკვე მერვე წელია, იგი ინტენსიურად იმართება და ფინანსური მხარდაჭერა თავიდან ბოლომდე იმერეთის გუბერნიისა და ცალკეული მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობის მიერ აქვს. აღნიშნავს კიდეც ფესტივალის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი ლევან როხვაძე, რომ "ქუთაისს ნამდვილად არ დაემადლება თეატრალური ფესტივალი, მით უმეტეს, რომ იგი იმერეთში თეატრალურ ზეიმად იქცევა ხოლმე. და ეს ყველაფერი გარდა იდეისა, ფინანსებს საჭიროებს, რომელიც წელსაც დაუშურვებლად გაიღო გუბერნიამ და ცალკეული მუნიციპალიტის ხელმძღვანელობამ. გარდა ფინანსური მხარდაჭერისა, ეს არის ფესტივალი, რომელზეც რეგიონული თეატრები ჭეშმარიტ, პროფესიონალურ შეფასებებს იღებენ და მათ ნამუშევრებსაც აკადემიურობის პრეტენზია აქვთ. ჩემი დაუოკებელი სურვილია, და იდეაში ამიტომაც მოვიფიქრეთ იმერეთში მსგავსი "შეჯიბრის" თუ დათვალიერების გამართვა, სახალხო დასები დრამატულ თეატრებად ვაქციოთ. ამის კარგი მაგალითია სამტრედიის სახალხო თეატრი, რომელმაც ბოლო წლებში დრამატული თეატრის ფერხულში ჩადგომა შესძლო. ვინც მის თეატრალურ წარსულს იცნობს, სამტრედიას ეკუთვნის კიდეც სახელოვანი ტრადიციების გამგრძელებლად ძლიერი თეატრალური დასი. ეს არის ქალაქი, თეატრის ცხოვრებით რომ ცხოვრობს. აღარ დავამატებ, რომ ის ბევრი კორიფეს სამშობლოა, ქართულ კინოსა და თეატრს გრანდებად რომ შემორჩა."

ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი ლელა ოჩიაური, თეატრის კრიტიკოსთა კავშირის პრეზიდენტი, თეატრმცოდნე ნიკა წულუკიძე, თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი _ პროფესიონალებით დაკომპლექტებული ჟიური, რომელსაც თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მაკა ვასაძე ხელმძღვანელობდა, გარანტი გახლდათ წარმოდგენილი სპექტაკლების მაღალპროფესიულად შეფასებისა და გაცემული ნომინაციების კომპეტენტურობისა. ჟიურის ასეთი შემადგენლობა რეგიონალური თეატრალური დასებისთვის პროფესიული ზრდის დიდი საშუალებაა. აღნიშნა კიდეც ნიკოლოზ წულუკიძემ: "სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში რეგიონებში თეატრი ერთადერთი სახელოვნებო დაწესებულებაა. მიუხედავად მწირი დაფინანსებისა, ან საერთოდ დაუფინანსებლობისა, მსახიობებისთვის ძალიან დიდი სტიმულია, სადღაც შეიკრიბონ და მათი ნამუშევარი პროფესიონალურ სარბიელზე წარადგინონ. ის, რომ ჟიური პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული, ორმაგად მნიშვნელოვანი და საჭიროა უპირველესად ამ თეატრების პროფესიული ზრდისთვის." ჟიურის თავმჯდომარე მაკა ვასაძისთვის, არა მხოლოდ როგორც თეატრმცოდნისთვის, ქუთაისში ამ ამპლუაში ყოფნა განსაკუთრებული აღმოჩნდა. და იმიტომაც, რომ როგორც იმ საღამოს არაერთგზის აღინიშნა, მამამისმა, აკაკი ვასაძემ სწორედ მესხიშვილის სახელობის თეატრის სცენიდან თქვა მისეული სიტყვა ქართული თეატრის ისტორიაში.

გარდა პროფესიულისა, ფესტივალს ახალგაზრდული ჟიურიც ჰყავდა.

"თეატრალური იმერეთი _ 2017" კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიხეილ გიორგაძის ქუთაისში სტუმრობის საბაბიც გახდა. "დიდი მადლობა მის ორგანიზატორებსა და ყველა იმ ადამიანს, ვინც ფესტივალის ჩატარების იმიციატორია. ის ნამდვილად სჭირდება იმერეთსაც და იმ რეგიონებსაც, საიდან წამოსული სახეებიც მნიშვნელოვან სიტყვას ამბობდნენ და ამბობენ ქართული თეატრის წარსულსა და დღევანდელობაში. იმედია, და ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ იგი გაგრძელდება და კიდევ უფრო პროფესიონალურ სახეს მიიღებს. სახელმწიფოსა და უშუალოდ ჩვენი სამინისტროს ხელშეწყობას ეს ფესტივალი ნამდვილად იმსახურებს."

თუ გასულ წელს ფესტივალს პოლონეთის თეატრალური დასი სტუმრობდა საპატიოს სტატუსით, წელს მისი სტუმარი "საზღვარგარეთიდან" და იმავდროულად სამშობლოდან კახის რაიონის სადახლოს სახელმწიფო თეატრი იყო სპექტაკლით "იავნანამ რა ჰქმნა?!" რეჟისორი ლერი შიოშვილი აღნიშნავდა კიდეც სცენიდან, რომ ეს მათთვის პირველი წარმოდგენაა სამშობლოში პროფესიონალურ სცენაზე. "გვაერთიანებს ის, რაც გვაშორებს _ სამშობლო. ეს დღე მნიშვნელოვანი არის და დიდხანს დარჩება ჩვენთვის. ვისურვებდი იგი ბევრჯერ განმეორდეს."

სტუმრის ამპლუაში, ამ შემთხვევაში ეს სტატუსი კონკურსგარეშე მონაწილეობას გულისხმობს, სოხუმის თეატრიც დადგა ქუთაისურ სცენაზე.

ფესტივალზე 14 ნომინაცია გაიცა. პირველი ადგილის მფლობელი და ფესტივალის გამარჯვებული საჩხერის დრამატული თეატრი გახდა სპექტაკლით "შერეკილები."

სამტრედიის თეატრალური დასი, ლორიტა ჯორჯიკიას "შე ვხედავ მზეთი" წარმოდგენილი, ის შემოქმედებითი კოლექტივი გახლდათ, რომლის შესახებაც შეფასება "საინტერესო ფერები და საინტერესო სახეები" არაერთმა თეატრმცოდნემ არაერთგზის გამოთქვა. 14-დან ორი ნომინაცია სწორედ სამტრედიული დასის წარმომადგენლების საკუთრება გახდა. მამაკაცის როლის საუკეთესო ახალგაზრდა შემსრულებელად ნიკა ფხიკიძე დასახელდა თავისი სოსოიეთი, ხოლო მარიამ აბრამიშვილი ხატიათი საუკეთესო აღმოჩნდა ახალგაზრდა ქალი შემსრულებლის ამპლუაში. რაც შეეხება ზოგადად სამტრედიულ სპექტაკლს, პროფესიონალური ჟიური თვლიდა, რომ იყო ძალიან საინტერესო ნამუშევარი. მაკა ვასაძემ მას "საინტერესო ფერებისა და პასაჟების ერთობლიობა" უწოდა, ნიკა წულუკიძემ უპირველესად ხაზი გაუსვა, რომ ამ შემთხვევაში მისი შეფასება სამტრედიელებისადმი განსაკუთრებული გულშემატკივრობის კი არა, უშუალოდ სპექტაკლის, მსახიობების, რეჟისორის დამსახურებაა. "ძალიან საინტერესო სცენოგრაფია ვნახე რამდენიმე სპექტაკლში და მათ შორისაა "მე ვხედავ მზეს". იყო არაერთი საინტერესო სცენიური სახე, რომ ჩამოვთვალო, ვინმე გამომრჩეს იქნებ, მაგრამ ბეჟანა, კოწია ფოსტალიონი, ომში დაკარგული ტყუპი ბიჭების მშობლები აუცილებლად უნდა გამოვყო. სოსოიე და ხატია, დამსახურებულად გახდნენ იმ ნომინაციის მფლობელები, რომელიც მიენიჭათ. ვიმედოვნებთ, ეს მათი შემდგომი წარმატებების საწინდარი იქნება. აქვე უნდა ხაზი გავუსვა, რომ ყველა ის თეატრალური სახე, რომელიც ჩამოვთვალე, იმსახურებდა მეტ აღიარებას, თუმცა, არცთუ ისე ხშირია, რომ ღირსეულები ჩრდილში რჩებიან." რაც შეეხება ზოგადად ფესტივალზე წარმოდგენილ რეპერტუარს, როგორც მან უწოდა, "მეგობარ გაზეთთან" ინტერვიუში ნიკა წულუკიძემ აღნიშნა, რომ: "აუცილებლად უნდა ვისაუბროთ ხარისხზე და იმ პროცესებზე, ყოველწლიურად რომ იხვეწება რეგიონული თეატრების შემოქმედებაში. განსხვავება წინა წლებთან შედარებით არის ის, რომ თუ აქამდე მკვეთრად ქართული რეპერტუარი იყო, წელს უკვე თანამედროვე და უცხოური დრამატურგია შემოვიდა, შემოვიდა ტრანსფორმაცია, ექსპერიმენტული წარმოდგენები, მაგალითად, მოძრაობით გამოხატული სიუჟეტი. ნელ-ნელა ეს ადამიანები ცდილობენ, პროფესიონალურად აუწყონ ფეხი იმ პროცესებს, თანამედროვე თეატრებში რომ მიდის."

ახალგაზრდების წარმატებამ, ბუნებრივია გაახარა იქ და არა მხოლოდ იქ დამსწრე სამტრედიელები. განსაკუთრებული მღელვარება რეჟისორ ლორიტა ჯორჯიკიას ეტყობოდა. როგორც აღნიშნავდა, ბედნიერი იყო, რომ სწორედ მისი სპექტაკლი გახდა ამ ახალგაზრდული დუეტის წარმატების პლაცდარმი. "მე ბოლომდე დავიხარჯე და მართალი გითხრათ, ველოდი კიდეც წარმატებას." _ ახალგაზრდულმა ამბიციამ სძლია ნიკა ფხიკიძეს. მისგან განსხვავებით მოკრძალებული გახლდათ მარიამ აბრამიშვილი: "ეს, პირველ რიგში, რეჟისორისა და ყველა იმ ადამიანის დამსახურებაა, სცენაზე რომ მამხნევებდნენ და უკეთ თამაშის სტიმულს მაძლევდნენ. ვისურვებდი სამტრედიის თეატრალური დასის წარმატებების თანაზიარი კიდევ ბევრჯერ გავმხდარიყავი."

დღემდე ისე არ ჩაუვლია იმერულ თეატრალურ ფესტივალს, სამტრედიის თეატრალურ დასს სათქმელი განსაკუთრებულად რომ არ ეთქვა. წელს ეს ესტაფეტა ახალგაზრდა მსახიობებმა გაგრძელეს, თუმცა, არც სცენის მტვერნაყლაპების პროფესიონალიზმი დარჩენილა ყურადღების მიღმა. კიდევ უფრო დიდი წარმატებების მოლოდინში სამტრედიის თეატრალური დასი მომავალი წლისთვის მზადებას მთელი თეატრალური სეზონის განმავლობაში ჩვეული მონდომებითა და ენთუზიაზმით შეუდგება. შეუდგება თუნდაც იმიტომ, რომ ნიკა წულუკიძისა არ იყოს, სახელოვნებო სკოლების პარალელურად იგი ერთადერთი სახელოვნებო დაწესებულებაა რაიონში, ინტელექტუალურ საზოგადოებას ჭეშმარიტი ხელოვნების წყურვილს რომ უკლავს.

ძალზე დრამატული ჩემპიონატის გამარჯვებული ვანის გუნდია

ნათია ნაცვლიშვილი

ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრმა მხარულთა და საზრიანთა რეგიონალური ლიგის სასკოლო ჩემპიონატის ფინალურ თამაშს უმასპინძლა. ცხადია, ყველა სამტრედიელი საკუთარი მუნიციპალიტეტის გამარჯვების მოლოდინით მოვიდა ამ თამაშზე. დარბაზში თამაშის დაწყებამდე აქა-იქ გავიგონე, რომ ფოთის და ვანს ძალიან კარგი გუნდები ჰყავდა და ამიტომაც თურმე ჩვენი გუნდი ფინალური თამაშისათვის საგულდაგულოდ მოუმზადებია ზაზა ლეკავას. შეხვედრას გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ვერ დაესწრო მუნიციპალიტეტის გამგებელი, მას გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი და ვანალოების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე დაესწრნენ. ჩემპიონის გამოსავლენად ერთმანეთს ვანის "სევაიდუ" (გიორგი სხვედიანი), ქუთაისის "შარახვეტია" (გიორგი ჟორჟოლიანი), ფოთის "რაია" (დიმა ქადარია), სამტრედიის "არ ველოდი" (საბა ნიკოლეიშვილი) და წყალტუბოს "ჩაპლინი" (ომიკო ტყაბლაძე) დაუპირისპირდნენ.

სამტრედიის გუნდი მეოთხე საჯარო სკოლის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული. ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ ვეტერანი მანსანკანელები დავით ფურცხვანიძე, არჩილ კიკნაველიძე, ლაშა გელენიძე, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის სპეციალისტი აკაკი ჭანჭალეიშვილი და არჩილ ბოხუა. საღამოს წამყვანის ამპლუაში მაყურებელმა კვლავ გიორგი ჩირგაძე იხილა, რომელსაც სამტრედიელები კარგად იცნობენ. წამყვანმა ჩემპიონატის მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის გამგებელს, კულტურის სამსახურის უფროსს, კულტურის ცენტრის დირექტორ ვეფხია ნადირაძეს და ჩემპიონატის სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს, არჩილ ბოხუას. გუნდები ჯერ მისალმებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე, მერე კონკურსი ბეატლონი იყო, ბოლოს კითხვა-პასუხი. ვიზალბერალიზაცია, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები, ბებია-ბაბუების გრძელი ცხვირები _ ხუმრობების ობიექტი ყველაფერი შეიძლება გახდეს... "უნდა შემოვიდე ამაღამ შენში" პაატა გულიაშვილის ეს მელოდია რამდენიმე გუნდმა მოარგო თავის ნომერს.... მეოთხე სკოლელთა გუნდმა ერთ-ერთ ეპიზოდად წარმოადგინა გოგონა "სექსი ტელეფონით". სავარაუდოდ, ამან გამოიწვია დიდი მღელვარება. ბეატლონის კონკურსზე ფოთის გუნდის წარმომადგენელმა ხუმრობით ისიც თქვა, მეოთხე სკოლის პედაგოგის გაკვეთილებზე მოსწავლეებს ეძინებათო, ამას ჟიურის მყისიერი რეაქცია მოჰყვა, სკოლის პედაგოგები დარბაზში სხედან და მეტად კორექტულები იყვითო. ჟიურის წევრმა აკაკი ჭანჭალეიშვილმა თამაშის ბოლოს აღნიშნა, რომ ბევრი იყო ე. წ. წელს ქვემოთ ხუმრობა და ის გაცილებით დახვეწილ იუმორს მოელოდა გუნდებისაგან. მან გამორჩეულად მოსაწონი მოთამაშეებიც დაასახელა ფოთისა და ვანის გუნდებიდან. თამაშის ბოლოს კი ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ფოთის გუნდმა თავიდან ბოლომდე ძალიან კარგი თამაში აჩვენა. არჩილ ბოხუამ ასე შეაფასა გუნდები: "უფრო კარგ თამაშს ველოდით, მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოკიდებოდით საქმეს!" გამოვლინდა რეგიონული ლიგის სასკოლო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე გოგონა ქეთი ჩიღლაძე (წყალტუბოს გუნდიდან,) საუკეთესო მოთამაშე ბიჭი ფოთის გუნდიდან (ლადო ფაცაცია), შედეგების დაჯამების შემდეგ მესამე ადგილზე გასული გუნდის დასაჯილდოვებლად სცენაზე ქალბატონ ლიზა კრავეიშვილს უხმეს. მან განაცხადა: "მე დღეს თქვენს საგულშემატკივროდ მოვედი, მინდა გულისტკივილით ვთქვა, რომ ჩვენი გუნდის ხუმრობებში იყო ბევრი უხამსობა, ჩემი ნება რომ იყოს, ამ მეოთხე სკოლის გუნდს საერთოდ შეჯიბრიდან მოვხსნიდი, სამტრედიას დღეს თქვენ შეურაცხყოფა მიაყენეთ." ტრიბუნასთან მეორე ადგილზე გასული წყალტუბოს გუნდის, "ჩაპლინის" დასაჯილდოებლად ნატალია მანჯგალაძე მოიხმეს. მან განაცხადა: "მოგესალმებით ახალგაზრდებო, სამტრედიის შემოსასვლელში შეგხვდებათ ბანერი: "სამტრედია ძმობისა და მეგობრობის ქალაქია! ამას ისიც დავუმატოთ, რომ არის ასევე სიყვარულის ქალაქი, გამარჯვება ძალიან კარგია, მაგრამ ვფიქრობ, ასეთ თამაშებში იმარჯვებს სიყვარული". საოცარი ემოციით, ყიჟინით და ცრემლებით შეხვდნენ "სევაიდუს" წევრები გამარჯვებულად დასახელებას. ამ ბავშვების გულწრფელი ემოცია ძნელი იყო არ გაგეზიარებინა. ჩვენს გაზეთს მათი გუნდის წევრი, აცრემლებული რეზო დიაკონიძე ესაუბრა: "ეს გამარჯვება ჩვენთვის ყველაფერია, ყველაფერს ვაკეთებდით, დღე და ღამე ვიშრომეთ, ეს თასი რომ მოგვეპოვებინა. ჩვენი გუნდი კომედი არხის მსახიობმა ბექა სულაძემ მოამზადა, მთავარ კონკურენტად "შარახვეტიას" მივიჩნევდით, ბეატლონში დავმარცხდით, მაგრამ სხვა ტურებში ჟიურის მოწონება დავიმსახურეთ." ამ გუნდს განსაკუთრებულად გულშემატკივრობდა ვანის პირველი საჯარო სკოლის დირექტორი, ვალერი კანკაძე. როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, გუნდში ძირითადად ვანის პირველი სკოლის მოსწავლეები არიან.

ჩემპიონატის დაწყებამდე "სამტრედიის მაცნეს" კომენტარი მისცეს ლიზა კრავეიშვილმა და ნატალია მანჯგალაძემ. ლიზა კრავეიშვილი: "ყველა აქტივობა, რაც ახალგაზრდებთან არის დაკავშირებული, ჩვენთვის ძალიან მისაღები, მისასალმებელი და სასიხარულოა. მიხარია, რომ ახალგაზრდების ასეთი დაინტერესება არსებობს. დღეს ჩემპიონატის ფინალს ვესწრები და მთელი გულით და სულით სამტრედიას ვგულშემატკივრობ." ნატალია მანჯგალაძე: "მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამარჯვებული გუნდისათვის დააწესა ფულადი პრიზი 500 ლარის ოდენობით. დანარჩენთათვის არჩილ ბოხუამ უზრუნველყო სხვა საჩუქრები. არჩილ ბოხუა ორგანიზატორია და მანსანკანის პრეზიდენტი სამტრედიის მუნიციპალიტეტში."

დასრულდა ჩემპიონატი, შენობის გარეთ ახალგაზრდული განსჯა-განხილვები გაგრძელდა. რას ვიზამთ, იუმორი, ეტყობა, მართლა დაიღალა ჩვენს ქვეყანაში, ლამის ყველა არხზე იუმორისტული შოუა და ცნობილები თუ ჯერ უცნობნი ეჯიბრებიან, ვინ მეტად გააცინებს მაყურებელს. სიტყვა სექსი და საჯდომი მათრახივით წინ და უკან თუ არ იქნიეს, ისე ხომ ღმერთი უწყენთ. ჩვენი იუმორის ველზეც იგივე მეორდება, გვესმის ის, რაც ყურს ხშირად ესმის, ვხედავთ მას, რასაც თვალი ხშირად ხედავს...

ფოლკლორულ ფესტივალზე სამტრედია ორი ანსამბლით წარსდგა

ნათია ნაცვლიშვილი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გამართულ ფოლკლორული სიმღერების ეროვნულ ფესტივალზე დასწრების პატივი, ჩვენი მუნიციპალიტეტის ფოლკლორულმა ანსამბლებმა "ჩანგი" (მერი ტკვაცირია) და "ალილო" (მადონა კოხრეიძე) ორი ტურის გადალახვის შემდეგ მოიპოვეს. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან (ხელმძღვანელი ტატა გოგუაძე) არსებული ამ ანსამბლების წევრებმა ჯერ ფესტივალის პირველ ტურში მიიღეს მონაწილეობა, რომელიც ქუთაისში გაიმართა. მას ობიექტური და საკმაოდ მკაცრი ჟიური ჰყავდა თემურ ქევხიშვილის, ქეთი ბანცაძის და ლევან ქორიძის შემადგენლობით. ანსამბლები მეორე ტურშიც გადავიდნენ. გვესაუბრება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორული განყოფილების ხელმძღვანელი, მადონა კოხრეიძე: "ფესტივალზე წარსდგნენ მუნიციპალიტეტების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლების ფოლკლორული ჯგუფები. ჟიურის კი ხელმძღვანელობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის ფოლკლორული განყოფილების უფროსი, თემურ ქევხიშვილი. ჩვენმა ვოკალურმა ანსამბლმა "ალილო" შეასრულა იმერული "საოხუნჯო" და მეგრული "ერეხელი", ინსტრუმენტალურმა ანსამბლმა "ჩანგი" შეასრულა მეგრული სიმღერების პოპური და "ძველი ქართული საცეკვაო". დავიმსახურეთ დიპლომები და სიგელები, ეს ძალიან ტევადი დღე იყო, ბოლოს ყველას სარკეებიან დარბაზში გვიმასპინძლეს. თემურ ქევხიშვილმა გვითხრა, მომავალი თაობისთვის ქართული ხალხური სიმღერების შესწავლით უდიდეს საქმეს აკეთებთო. ულამაზესი სანახავი იყო ამდენი ფოლკლორული ჯგუფი ერთად, ბოლოს ერთობლივად შეასრულეს საქართველოს ჰიმნი და მრავალჟამიერი. არაერთს მოადგა თვალზე ცრემლი. ბავშვებმა ისტორიული სასახლის ეზოც დაათვალიერეს და სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს. გზად სვეტიცხოველშიც შევიარეთ, პატარა მომღერლებმა ტაძარში დაანთეს სანთლები და ომახიანი სიმღერა ამ უძველესი ტაძრის ეზოშიც ააგუგუნეს, ისინი უცხოელების აპლოდისმენტებითაც დაჯილდოვდნენ." ანსამბლ "ალილოს" წევრი, გიორგი ბურკაძე: "ძალიან კარგი ფესტივალი იყო, სარკეებიან დარბაზში ჩვენი ქვეყნის ჰიმნი შევასრულეთ, ასევე ძალიან მომეწონა ბატონ თემურ ქევხიშვილის ანსამბლი, რომელმაც შეასრულა სიმღერა "ალილო".

ოლეგ მეგენეიშვილი, "ალილოს" წევრი: "ჩემთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი კონცერტი იყო, დიდი და კარგი საზოგადოება დაგვხვდა, პირველად ვიყავი ასეთ დიდმასშტაბიან კონცერტზე, ისტორიული სასახლის ულამაზესი ბაღი მომეწონა, სადაც "ქეთო და კოტეა" გადაღებული. მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს პედაგოგებს მადონა კოხრეიძესა და მერი ტკვაცირიას, რომ მოგვცეს შესაძლებლობა, ასეთ ფესტივალზე ჩვენი მუნიციპალიტეტი წარმოგვეჩინა."

მწვანე გზით გევლოთ!..

ლევან გაბეჩავა

კიდევ ერთი სასწავლო წელი დასრულდა.

კიდევ ერთი თაობა გავიდა ბობოქარი ცხოვრების ფართო გზაზე.

გრანდიოზული გამოსაშვები საღამოებით უკვდავჰყვეს საკუთარ და ქალაქის მეხსიერებაში სკოლის დამთავრება შეღერებულმა ვოვო-ბიჭებმა, 460 არიან ისინი, ვინც სამტრედიის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლა დაამთავრა.

გზა დაელოცოთ!

მეორე საკითხია, რა მიაქვთ, რა წაიღეს სკოლებიდან?

თუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გავრცელებული ციფრებით ვიმსჯელებთ, ქვეყანაში 11 000-ზე მეტმა მოსწავლემ რომ ვერ მიიღო ატესტატი, საქმე რბილად რომ ვთქვათ არცთუ სახარბიელოდაა განათლების სისტემაში.

ყველა ვხედავთ, ყველა ვდუმვართ რომ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები ძირითადად სკოლებში არ დადიან?!

დაუშვებლობის დაშვებულება დავაკანონეთ რატომღაც?!

ცოდნის გაღრმავება ნებისმიერი გზითა და მეთოდითაა მიღებული და დაშვებული, მაგრამ ჩემის აზრით, კანონით უნდა ისჯებოდეს პედაგოგი, რომელიც მოსწავლეს, მერხთან რომ უზის გაკვეთილების შემდეგ დაიბარებს შინ და რეპეტიტორის ამპლუაში მისგან ფულს იღებს?!

რა უშლით ხელს ასეთ პედაგოგებს სკოლებში მისცენ სათანადო ცოდნა ახალგაზრდებს?

არცთუ შორეულ წარსულში რაიონში 7 ოქროსმედალოსანი იყო და ლამის მთელი განათლების სამინისტრო ჩამოვიდა სამტრედიაში, ბატონი კარლო ძნელაძე იყო განათლების განყოფილების გამგე მაშინ.

წარმატებით დაიცვეს მიღებული მედლები დიახაც რომ ღირსეულმა მოსწავლეებმა, რაც მათი აღმზრდელი სკოლისა და პედაგოგების გამარჯვებაც იყო და აღიარებაც.

ამჟამად კი ზოგჯერ ერთ სკოლას ჰყავს 7 და მეტი მედალოსანი, მაგრამ... ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ.

ღირებულებები გადაფასდა, მაგრამ საკითხავია როგორ?

დღეს საქართველოში სულაც არაა ძნელი მიიღო ოქროს მედალი სკოლის "წარჩინებით" დასრულებისათვის, ისე როგორც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს თუ სამი-ოთხი სიმღერა შეგისრულებია და საკუთარი როკვითაც მიგიპყრია მასების ყურადღება, ვარსკვლავი გაგიხსნან.

არ მგონია ყოველივე ამას მე ვხვდებოდე და ისინი ვერა სამინისტროში რომ სხედან.

უბრალოდ გვაინტერესებს: რატომ ხდება ასე?

რად გვინდა ამდენი მედალოსანი და მერე ამდენი ხელმოცარული მედალოსანი აბიტურიენტი?

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, აწ უკვე ვიცე პრემიერმა ორიგინალური გამონათქვამებით დიახაც, რომ გაითქვა სახელი.

ღმერთმა ჰქნას ვცდებოდე, მაგრამ...

როცა სისტემაში (განათლების) პრობლემების ბუმია, მათ აღმოფხვრაზე უნდა ვიფიქროთ და არა იმაზე, როგორ მივიპყროთ სხვა, ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხების გარჩევა-გაანალიზებაზე მასების ყურადღება და მსჯელობას საგნად ვაქციოთ იგი.

არის ასეთი გამოთქმა, საქართველოში ყველა ერთმანეთის ნათესავიაო. მიმიხვდით უთუოდ რასაც ვამბობთ.

ტრაგედიაა, როცა თუნდაც ერთი პედაგოგი ტოვებს ოჯახს, სკოლას, მოსწავლეებს და თავის, ოჯახისა და შვილების გადასარჩენად თურქეთში ან საბერძნეთში მიდის.

ახლა მიმოვიხედოთ ჩვენს ირგვლივ _ რამდენი პედაგოგი აღმოჩნდა ბოლო წლებში ამ დღეებში?

სად ჩანს განათლების დაუსრულებელი რეფორმის წარმატებულობა?

ქართული სკოლა ძველთაგანვე მყარ ნიადაგზე იდგა და დგას.

ნუ ვიდავებთ, სხვაგვარი, უფრო პროფესიონალური მიდგომაა საჭირო ზოგადად სკოლებისადმი, ვიდრე დღეს.

ქართული სკოლა, ქართველი ხალხი უფრო მეტი ძნელბედობის პირისპირ მდგარა, თუნდაც გასულ საუკუნეში სამოქალაქო ომისა და შემდგომ პერიოდში, მაგრამ ძირითად მიზანს არ ასცდენია, მრწამსისთვის არ უღალატნიათ მაშინ პედაგოგებს.

გაკვეთილებს არათუ უცდენდნენ ბავშვებს, არათუ თანხას სთხოვდნენ (დამატებით) მათთვის ცოდნა რომ მიეცათ, არამედ ბოლომდე, დიახ ბოლომდე იხარჯებოდნენ ბავშვებისათვის.

ვერ ავცდით ასგზის ნათქვამს.

ხელისუფლებამ მეტად უნდა იზრუნოს პედაგოგების საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

სამინისტრომ აშკარად უნდა შეცვალოს დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და საერთოდ სკოლებში მიმდინარე პროცესებისადმი.

რეფორმას რაც შეეხება, პრაქტიკოს-თეორეტიკოსი პედაგოგების ტანდემით უნდა განხორციელდეს აუცილებლად, აქვე უნდა იქნას გათვალისწინებული ქვეყანაში არსებული ყოფა.

ძნელია, მოუთმენელია, მარადიული რეფორმის რეჟიმში მუშაობა პედაგოგებისათვის, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ უარი ვუთხრათ სიახლეთა დანერგვას, მთავარი კი ისაა, რომ ნებისმიერი სიახლე წინასწარ იყოს გათვლილი დადებით შედეგებზე, პოზიტივზე.

დასრულდა სასწავლო წელი, ასობით ახალგაზრდა გავიდა ბობოქარი ცხოვრების ფართო გზაზე...

როგორც აღვნიშნეთ მუნიციპალიტეტში მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა 460-მა ახალგაზრდამ დაასრულა, მათ შორის 50 ოქროს, 16 კი, ვერცხლის მედლის კანდიდატია.

მწვანე გზით გევლოთ, ახალგაზრდებო!

ხალხური სიბრძნით ნასაზრდოები მეგობრობა

ნათია ნაცვლიშვილი

მეორე ბაგა-ბაღში 5-6 წლიანთა ჯგუფის გამოსაშვებ ზეიმს ვესწრებით. დარბაზში საოცარი სიმწვანეა, ტყის იმიტაცია აქაურთა ფანტაზიის და ხელოვარჯილობის წყალობაა, მართლაც ულამაზეს სამყაროში აღმოვჩნდით, დეკორაციები პედაგოგებმა და ბაღის გამგე ინგა წიქვაძემ ერთობლივად შექმნეს. შთამბეჭდავი სპექტაკლი წარმოადგინეს პატარა მსახიობებმა, სახელწოდებით _ "რწყილი და ჭიანჭველა". რა უნდა იყოს ამ თაობისათვის მეგობრობის გრძნობაზე უფრო მნიშვნელოვანი! მათ სუფთა გულებში ახლა უნდა აღმოაცენონ აღმზრდელებმა მეგობრობის, ურთიერთსიყვარულის და პატივისცემის გრძნობა, წვეთ-წვეთობით შეაყვარონ ამ პატარებს სამშობლო, ახლა, სწორედ ახლა უნდა შეუქმნან მათ ცოდნის ძლიერი საფუძველი.

არაჩვეულებრივები იყვნენ პატარები თავიანთი შესანიშნავი კოსტიუმებით, მათ როლის სათანადო აღქმა და შინაარსში ჩაწვდომაც შეძლეს. სცენაზე მსახიობთა მთელი წყება იდგა: არა მუხა, არამედ მუხები, არა კატა, არამედ კატები, არა თაგვი, არამედ თაგვები, არა ყვავი, არამედ ყვავები, ზღაპრის შინაარსს რამდენიმე პერსონაჟიც დაამატა გოჭებისა და წიწილების სახით. მოკლედ, ძლიერ გაისარჯა რწყილი (ლუკა აბზიანიძე), ყველა ინსტანცია მოიარა, მისი ერთგული მეგობარი ჭიანჭველა (ქეთი კაშია) ორმოდან რომ ამოეყვანა. საინტერესო და სახალისო იყო საცქერლად ბოშურ მელოდიაზე აცეკვებული წიწილები თუ ყარაჩოღელი თაგვები, "სახლში სამი კნუტია" _ ნონა ჭახნაკიას ამ სიმღერას წარდგენა არ სჭირდება სამტრედიელი პუბლიკისათვის. კნუტები ამ მელოდიაზე აცეკვდნენ. მუსიკალური ნაწილი, ხოლო ქორეოგრაფიული ნაწილი თინა გრიგალაშვილმა მოამზადა. "თუ გინდა სითბო და ალერსი"... ეს სიმღერა პატარებმა ფინალურ სიმღერად აქციეს. სპექტაკლის შემდეგ მათ მხატვრული კომპოზიცია წარმოადგინეს. საუკეთესოდ წარმოსთქვა შოთა ნიშნიანიძის შესანიშნავი ლექსი "ციხე-ტაძართა საგალობელი" ნიკოლოზ გოგიჩაიშვილმა. შესანიშნავი დგილე, ლიზა კრავეიშვილი: " ეს 35 ულამაზესი ბავშვი არაჩვეულებრივი შენაძენი იქნება ნებისმიერი სკოლისათვის, მადლობა თქვენს პედაგოგებს, მშობლებს, მმართველს, დღევანდელი დღე იმის ნათელი მაგალითია, რომ აუცილებლად დაიპყრობთ ცოდნის მწვერვალებს, გეფერებით სუყველას და გულში გიკრავთ". სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების უფროსი, ხათუნა გაგუა: " უღრმესი მადლობა ჩემო პატარებო, აღმზრდელებო, ბავშვებო, სულ ასე ლამაზები და კარგები ყოფილიყავით, შესანიშნავად გვაჩვენეთ, რა ნიჭია, რა ძალაა მეგობრობა, ღონისძიების მომზადებაში ასევე მონაწილეობდნენ პედაგოგი ეკა ადეიშვილი, თანაშემწე ნანა კალაძე, ძიძა მაკა ხუჭუა. ბაღის მმართველმა დედობრივი სიყვარულით დალოცა აღსაზრდელები, გაცილა და უსურვა, ღირსეულ ქართველებად აღეზარდონ სამშობლოს.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი: " ეს 35 ულამაზესი ბავშვი არაჩვეულებრივი შენაძენი იქნება ნებისმიერი სკოლისათვის, მადლობა თქვენს პედაგოგებს, მშობლებს, მმართველს, დღევანდელი დღე იმის ნათელი მაგალითია, რომ აუცილებლად დაიპყრობთ ცოდნის მწვერვალებს, გეფერებით სუყველას და გულში გიკრავთ". სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების უფროსი, ხათუნა გაგუა: " უღრმესი მადლობა ჩემო პატარებო, აღმზრდელებო, ბავშვებო, სულ ასე ლამაზები და კარგები ყოფილიყავით, შესანიშნავად გვაჩვენეთ, რა ნიჭია, რა ძალაა მეგობრობა, მჯერა, სასახელო ბავშვები იქნებით, გზა დაგვილოცნია თქვენთვის". მეორე ბაგა-ბაღის მეთოდისტი, იხო ხუჭუა: "მინდა, მადლობა ვუთხრა მთელ კოლექტივს ამ შესანიშნავი წარმოდგენისათვის, სასახელონი და კარგები ხართ, მჯერა თქვენი ლამაზი მომავლის."

"აბა ვიცით? ვიცით"

ნათია ნაცვლიშვილი

ეს წარწერა, ლამაზად მორთულ ოთახს რომ ამშვენებდა პირველ საჯარო სკოლაში, მეოთხე ბ კლასის ჯანსაღ ამბიციასაც იტევდა. იციან, მართლაც ბევრი რამ, ბევრ კითხვაზე აქვთ სწორი პასუხი ამ ენერგიადაუშრეტელ ბოგო-ბიჭებს. ინდივიდ თაობა ცოდნას წიგნებიდანაც და კომპიუტერიდანაც რომ თანაბარი ანბარტით იძენს, ამ ლონისძიებამაც დაგვარწმუნა ამ ჭეშმარიტებაში. კედელზე ცხოვრების ხე გამოესახავთ, ძირი მწარე რომ აქვს და კენწეროში რომ უნდა გატკბილდეს...

ნატო წიქვაძე პირველ სკოლაში დიდი ხანი არ არის, რაც დაწყებით კლასებს ჩაუდგა სათავეში, მაგრამ მოსწავლეების გული საუკეთესო პედაგოგმა უკვე მოიგო. ბუდიდან ააფრინა მეოთხეკლასელი მერცხლები და სხვა პედაგოგებს გადააბარა. გაცილების საზეიმო საღამო კი მართლაც ცოდნის, ხელოვნებისა და გართობის საუკეთესო სინთეზი იყო. პედაგოგმა ორიგინალური გადაწყვეტა შემოგვთავაზა: კლასი ორ ჯგუფად დაჰყო, ჯგუფები ერთმანეთს სხვადასხვა საგნის ცოდნაში შეეჯიბრნენ. კითხვებზე ხან სიმღერით, ხანაც ლექსით პასუხობდნენ. ცეკვა-სიმღერას ისტორიის ცოდნაც შეერწყა, ლიტერატურისაც, გრამატიკისაც და მათემატიკისაც. თავადვე გადაწყვიტეთ, ეს რა ჟანრიაო, გვითხრეს პატარებმა. ჩვენი მასწავლებლის საყვარელი საგანი მათემატიკა არ დავივიწყოთ, მეცნიერება, რომელიც ყველაფერს ამტკიცებსო, წელიწადის დროებს სიმღერები მიუსადაგეს, ვეფხისტყაოსნის აფორიზმებს ერთი გუნდი იწყებდა და მეორე ამთავრებდა. არც ტრადიციული ქართული ცეკვები დავიწყნიათ. დიდი სიყვარულით დაახასიათეს მასწავლებლები, რომელთაც მათ ხელოვნება, ინგლისური და მუსიკა შეასწავლეს. ხელოვნების პედაგოგს ქართული კინომუსიკით მიესალმნენ, უცხო ენისას _ ინგლისური სიმღერით. ბოლოს ორიგინალური კუბი ააწყვეს მათი ყველა პედაგოგის: ლელა ლომიძის, ირმა კუჭუხიძის, ანჟელა ბუაძის, ლალი კაშიას, ციცინო ნოზაძის, ნანა კუკანიას რუსუდან ტყეშელაშვილის, ნატო წიქვაძის და სასწავლო ნაწილის ციური ხურცილავას გამოსახულებით. მეორე მხრიდან კი სკოლის დირექტორის, ხათუნა ფაილაძის გამოსახულება შეიკრა. ხათუნა ფაილაძე: " დიდი მადლობა ყველა იმ მასწავლებელს, რომელთაც ეს დიდი ცოდნა მოგცეს, განსაკუთრებული მადლობა ნატო მასწავლებელს, მან ღირსეული ადგილი დაიკავა ჩვენს პედაგოგთა შორის, ასევე მინდა მივულოცო მას განათლების სამინისტროში მოგებული თავისუფალი გაკვეთილების პროექტი, დაფინანსდა ეს პროექტი და სექტემბრიდან პედაგოგი მუშაობას შეუდგება. დიდი მადლობა ყველა მასწავლებელს, ვისაც თქვენს აღზრდაში წვლილი მიუძღვის, მინდა გითხრათ, პირველი სკოლა ნამდვილად დგას ძალიან ძლიერ საძირკველზე და მე ამაყი ვარ ჩემი პედაგოგიური კოლექტივით, ნურაფრის გეშინიათ და ტრადიციულად ჩემი საყვარელი ფრაზით დაგემშვიდობებით: "გზა დაგელოცოთ პირველებო პირველობისკენ!" მომავალი პირველკლასელებიც მოიხმეს სცენაზე პატარებმა, ერთობლივად იცეკვეს და ჩაეხუტნენ ერთმანეთს. საღამოს კულმინაცია მეოთხეკლასელ ლუკა შენგელიას მიერ წაკითხული ლექსი იყო მასწავლებელზე. ამ ლექსმა უამრავს მოჰგვარა თვალზე ცრემლი. ჩვენც ერთ-ერთი სტროფით დავასრულებთ სათქმელს: " შენ უნდა მაზიარო წინაპრის სიყვარულს, გამზარდო დავითად, ცოტნედ, ისე შემაყვარო ჯვარცმული მამული, რომ მისთვის ღიმილით მოვკვდე!"

გაუხუნარი წიგნის შრიალში

ნათია ნაცვლიშვილი

მიკროავტობუსმა აღმოსავლეთისაკენ აიღო გეზი. დაბლა გომის საჯარო სკოლის (დირექტორი ომარ ჩაჩუა) მეოთხე კლასის მოსწავლეების ეს სასწავლო წლის დამამთავრებელი გაკვეთილი სოფელ ვარიანში, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმში უნდა ჩატარდეს. დამრიგებელი მაია ჩაჩუა პატარებს ემშვიდობება, ბავშვებსაც ეძნელებათ საყვარელ პედაგოგთან განშორება. სიტყვაუხვობენ, მსჯელობენ, ზოგიერთი მათგანი თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევას _ მობილურ ტელეფონებში ინტერნეტს ჩაღრმავებია, მღერიან, ხუმრობენ, პედაგოგის შეკითხვებს პასუხობენ, საუკეთესო ლექსებს წარმოსთქვამენ. ერთი ბიჭუნა ძალზე მახვილგონიერია, სხარტად იძლევა გამოცანებზე პასუხებს. ვგებულობ, რომ მისი დედიკო ოჯახის სარჩენად თურქეთშია გადახვეწილი. ამ სკოლასაც ჰყავს მოსწავლეები, რომელთაც დედის შეხება, მისი გამომცხვარი მჭადის სურნელი და სახლში ყოფნა ენატრებათ. სკაიპით ყოველდღე ეხმიანებიან დედებს, მაგრამ მათი ხელის შეხება და ჩახუტება აკლიათ... ავტობუსი ვარიანს უახლოვდება, ეზო სავსეა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ბავშვებით, სასკოლო ექსკურსიების რიგში დგომა გვიწევს... მანამდე, ვიდრე აქაური გიდი იაკობის სამყაროში შეგვიძღვება, ჩვენი პატარები გვამოგზაურებენ "დედაენის" სამყაროში. ბავშვებმა შესანიშნავი მხატვრული კომპოზიცია ეზოში წარმოადგინეს. იაკობის ბიოგრაფიის მთავარ დეტალებზე გაამახვილეს ყურადღება, ამ ბუმბერაზი ქართველის ღვაწლზე ისაუბრეს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მისი საქმიანობა და "დედაენის" შექმნის ისტორია გაიხსენეს. "ვინა სთქვა, თითქოს ბედმა დაგცინა, ძე არ გაღირსა, როგორც ილიას, ვისაც მამულის მადლი აცხია, შენი ძე არის, შენი შვილია" _ იოსებ ნონეშვილის ამ სიტყვებს აქ, ამ ეზოში, ვინ იცის, მერამდენე თაობა იმეორებს. იმეორებენ ეს ბავშვებიც და იზრდებიან უკვდავი "დედაენის" შრიალში. ულამაზესი ლექსები წარმოსთქვეს მასწავლებელზე, სამშობლოზე, იმღერეს, იცეკვეს, პატრიოტული განწყობაც და შემართებაც აქვთ ამ პატარებს და იციან, რომ ცოდნა მათთვის ყველაზე ძლიერი ჯავშანია... აკი აღიზარდნენ იაკობის მოთხრობებზე. გიდი გვამცნობს, რომ 140 წელი გავიდა იაკობის "დედაენის" დაბადებიდან და წიგნი კვლავ უკვდავია. ეს სუფთა ადამიანი ციხეშიც იჯდა, რადგან ჯაშუშობა და ფულის გაფლანგვაც დასწამეს თურმე, ამის მიუხედავად, არ გაბოროტებულა, ადამიანების მსახურებაში, ნიჭიერ სტუდენტთა ხელშეწყობასა და ქველმოქმედებაში დალია სიცოცხლის დღენი, ისე ეხმარებოდა მატერიალურად ხელმოკლე სტუდენტებს, არც კი უმხელდა ვინაობას. თავად დაკემსილი წინდებით დადიოდა, თავისი ბინაც კი არ ჰქონდა, მხოლოდ სხვათათვის იღვაწა და დაშვრა. პატარები ინტერესით ისმენდნენ მონათხრობს და უკან დაბრუნებისას ცოდნას ერთმანეთს უზიარებდნენ.

ბავშვებმა ინტერესით დაათვალიერეს მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მემორიალური ნივთები. მოსწავლეებმა ასევე მოინახულეს კლდეში ნაკვეთი ქალაქი, კავკასიის ერთ-ერთი უძველესი დასახლება და საქალაქო ცენტრი, უფლისციხე.

ცხრანი, მაგრამ ღირსეულნი...

ნათია ნაცვლიშვილი

მეექვსე სკოლის საქტო დარბაზში უკვდავი სიმღერის "ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ" ჰანგები შეგვიძღვა. მერე ლამაზად მორთულ-მოკაზმული ცხრა პატარა გამოგვეგება _ ამ სკოლის ცხრათვალა მზის ცხრა სხივი. ისინი დაწყებითების პედაგოგის, დოდო ქორიძის მოსწავლეები არიან, წლეულს დაფრთიანებული პატარები ანბანს ემშვიდობებიან და გაცილების საზეიმო ღონისძიებაზე მიგვიპატიჟეს.

როცა საქმე შენს სკოლას ეხება, მაშინ შენს გონებაში ეს სტრიქონი ხმიანობს: "დამიძახე, მოვალ, რას მიქვიან ფრთები!"... ფრთები კი მაშინ ჰქონდა ამ სკოლას, როცა ათეული წლის წინ პარალელური ჯგუფები ჰყავდა. არაერთხელ გულისტკივილით გვითქვამს, რომ ამ სკოლის პრობლემა არა პროფესიონალ პედაგოგთა, არამედ, მოსწავლეთა კონტინგენტის ნაკლებობაა. ამ სიმცირის მიუხედავად, ვარ ძალიან ბედნიერი იმით, რომ პატარებმა შესანიშნავი მხატვრული კომპოზიცია წარმოადგინეს. "თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი, გულში გაკლია ცეცხლი ქართული", ქართველმა ერმა დედაენას ძეგლი დაუდგა, შევიყვარეთ ეს წიგნი და მშობელ დედასავით შევიყვარეთ მასწავლებლები". _ გვითხრეს და დაგვიდეს პირობა, ააშენებდნენ ცოდნის იმ ტაძარს, რომელსაც ვერავითარი დროის ქარიშხალი ვერ შეარყევდა. ლექსები სამშობლოზე ვაჟკაცობასა და ქვეყნისთვის თავგანწირვის აუცილებლობაზე მჭექარებითა და რიხით წარმოთქვეს ბიჭებმაც და გოგონებმაც. ქორეოგრაფობა სკოლის საქმეთა მმართველმა თამარ თევზაძემ ითავა და საქმეს კარგადაც გაართვა თავი. ხალისიანი, მხიარული სიმღერები შეასრულეს დედაენაზე, სკოლასა და მასწავლებლებზე, მერე ქართული ცეკვა მთელი ენერგიითა და ქართული ტემპერამენტით.... პატარებს დოდო მასწავლელიც მიესალმა და წარმატებები უსურვა. შინაარსობრივად და სანახაობრივად საინტერესო ღონისძიების გამო სკოლის დირექტორმა, ლეილა კუბლაშვილმა მადლობა გადაუხადა პედაგოგს, ბავშვებს, მათ მშობლებს და წარმატებები უსურვა. მჯერა, ღირსეულ ქართველებად გაიზრდებითო, ლეილა მასწავლებელმა. ჩვენც ასე გვჯერა, მათ მიერ წარმოდგენილი სანახაობის შემყურეთ.

უყვართ, იციან, თამაშობენ ჭადრაკს

ნათია ნაცვლიშვილი

სკოლის დარბაზი ჭადრაკის ფიგურების ფერებს იმეორებს. ბაჯშვებსაც მეფე, ლაზიერი, პაიკი... ახატიათ მაისურებზე. თავადაც სხვადასხვა ფიგურას განასახიერებენ, მეფე და ლაზიერი კოსტიუმირებულნი არიან. კედელზე შავ-თეთრი წარწერაა "ჩვენ გვიყვარს ჭადრაკი". მორის ფოცხიშვილის ტექსტზე შექმნილი რომა რცხილაძის უკვდავი მელოდია კი საოქმელს ლამის საჭადრაკო გამარჯვების ტოლფარდი ემოციით ამბობს:

"დაშუტულია კეთილი სიბრძნით, ემორჩილება დედოფლის კდემას, ყველა პაიკი მეფისთვის იბრძვის, ყველა პაიკი მეფისთვის კვდება" – ვიდრე მეორე-მესამე კლასელები "რაღაც მსგავსებას ამ ჭადრაკსა და იმ ჭადრაკს შორის" იპოვიდნენ, ბევრი სვლა გაეთიდება როგორც საჭადრაკო, ისე ცხოვრების შავ-თეთრ დაფაზე. მანამდე კი პატარებს ჭადრაკის პედაგოგი მათთვის ჯერ უცნობ და საინტერესო სპორტის სახეობაში ავარჯიშებს. ეს ხომ ინტელექტუალური თამაშია, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული ხელოვნების, მეცნიერებისა და სპორტის ელემენტები.

ჭადრაკის პედაგოგი გულიკო გოგიტიძე მეორე საჯარო სკოლაში მეორე-მესამე კლასებს ჭადრაკს ასწავლის. პედაგოგმა სპორტის ამ ინტელექტუალური სახეობისადმი მოსწავლეთა ყურადღების გაღრმავების მიზნით შესანიშნავი ღონისძიება მოაწყო... ვინ იცის, ამ ბავშვებიდან იქნებ მომავალი მსოფლიო ჩემპიონიც გამოვიდეს!..

პროგრამა "ჭადრაკი სკოლაში" 2015 წელს დაინერგა და საქართველოს სკოლებში წარმატებით მიმდინარეობს. ჩვენს მუნიციპალიტეტში რამდენიმე სკოლას შორის, სადაც ჭადრაკის გაკვეთილები ტარდება, მეორე საჯარო სკოლაცაა. როგორც პატარებმა გვითხრეს, ეს თამაში ინდოეთში მეექვსე საუკუნეში გამოიგონეს, მაგრამ არსებობს მოსაზრებაც, რომ ჭადრაკი მანამდეც ცნობილი. პატარებმა ლეგენდაც გააცოცხლეს იმის შესახებ, თუ როგორ გამოიგონა ერთმა ჭკვიანმა გლეხმა სინმა ეს თამაში და რადგან ის სამეფო თამაშად მიიჩნია, თავისი ქვეყნის (რაჯას) მეფეს მიართვა. მადლიერი მეფის კითხვაზე, რით დაგასაჩუქროო, სინს უპასუხნია: პურის იმდენი მარცვალი მომეცით, რამდენიც მომიწევს საჭადრაკო დაფიდან, თუ პირველ უჯრაზე ერთ მარცვალს დადებენ, მეორეზე ორს, მესამეზე ოთხს, მეოთხეზე რვას, მეხუთეზე თექვსმეტს, მეექვსეზე ოცდათორმეტს და ა.შ... მოსწავლეებისავე თქმით, მოჭადრაკე ბუნების ისეთივე საოცრებაა, როგორიც პოეტი, პაოლო იაშვილის სრტოფიც გაიხსენეს: "არავის არ სძინავს ისე არეულად, როგორც რომ ლექსის და ჭადრაკის ოსტატებს." ჭადრაკზე ქართველი მწერლების, მეცნიერებისა და მოაზროვნეების გამონათქვამებიც მოიხმეს.

ჭადრაკს ორ, თეთრსა და შავ არმიას შორის გამართულ ბრძოლად მიიჩნევენ პატარები, მხარეები კი იმიტომ უპირისპირდებიან ერთმანეთს, მოწინააღმდეგის მეფე რომ შეიპყრონ და მთელი მისი სამეფოც ხელში ჩაიგდონო. მერე საჭადრაკო ბრძოლის ველს, დაფას გაეცვნენ და ფიგურების მოძრაობის წესები ახსნეს. თითოეული ფიგურა მხატვრულად დაახასიათეს და მეტსახელებიც მიუსადაგეს.

პატარებმა სამტრედიის საჭადრაკო ისტორიას გამორჩეული ადგილი დაუთმეს. უნიჭიერესი ადამიანი, შესანიშნავი მოჭადრაკე და ორგანიზატორი, მოჭადრაკეთა მრავალი თაობის აღმზრდელი, ანზორ მაჩიტიძე გაიხსენეს, რომლის სახელობის საჭადრაკო მემორიალი მესამე წელია ტარდება სამტრედიაში. მემორიალის ჩატარების ორგანიზატორი მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერიაა. შემდეგ სამტრედიის საჭადრაკო სკოლის კედლებში აღზრდილი მოჭადრაკეები ახსენეს. ესენი არიან: საქართველოს ეროვნული ოსტატი ჭადრაკში, მერაბ არჩვაძე, საერთაშორისო ოსტატი სოფიო ტერელაძე, დიდოსტატი დავით ჯოჯუა, საერთაშორისო კლასიფიკაციის მოჭადრაკე ბაჩანა ჩაბრაძე, ოსტატობის კანდიდატები: კობა ძიძიგური, ბესო ლეჟავა, ნინო ჯვარშეიშვილი, ზეინაბ ხვედელიძე, სიმონ ხაჟალია და სხვები... თბილად მოიხსენიეს საერთაშორისო ოსტატი მერი არაბიძე. კომპლიმენტები არ დაიშურეს სამტრედიის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ივანე კილტავა) ჭადრაკის მწვრთნელ-მასწავლებლების, ნინო ჯვარშეიშვილისა და ბესო ლეჟავას მისამართით. მადლიერება სამტრედიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე კობა ძიძიგურის მიმართაც გამოთქვეს. პატარებმა თქვეს, რომ ჩვენი სპორტული სკოლის ჭადრაკის ჯგუფის მოსწავლეები ყოველთვის ლიდერობენ და თასებითა და პირველი ხარისხის დიპლომებით ბრუნდებიან სხვადასხვა დონის შეჯიბრებიდან. მოსწავლეებმა ასევე განმარტეს, რომ მსოფლიო ჩემპიონის სახელი ერთი საუკუნის წინათ დაწესდა, მაგრამ ჭადრაკს უფრო ადრეც ჰყავდა სათაყვანებელი ოსტატი, ეპოქისა და დროის ლიდერი. დაასახელეს მსოფლიო ჩემპიონები როგორც ქალთა, ისე მამაკაცთა შორის. განსაკუთრებული სიყვარულით ახსენეს მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, როგორც მოვლენა მსოფლიო ჭადრაკის ისტორიაში, როგორც უბერებელი ქართული ნიჭი, რომელიც დღესაც გვაოცებს თავისი ფენომენალური შესაძლებლობებით. ახსენეს ასევე მაია ჩიბურდანიძე, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი. ღონისძიება მოწვეულმა სტუმრებმა: ივანე კილტავამ, ნინო ჯვარშეიშვილმა, კომპლექსური სპორტული სკოლის მწვრთნელ-კოორდინატორმა რამაზ თელიამ და ამავე სკოლის მთავარმა სპეციალისტმა დავით თვალაბეიშვილმა შეაფასეს. საინტერესო და შემეცნებითი ღონისძიების მოწყობისათვის მათ მადლობა გადაუხადეს როგორც სკოლის დირექტორს, ისე ჭადრაკის პედაგოგს გულიკო გოგიტიძესა და ღონისძიების ყველა მონაწილეს. მეორე საჯარო სკოლის დირექტორი თეა კარტოზია: "ორი წელია ასწავლის ქალბატონი გულიკო და უკვე შედეგები გვაქვს, გულიკო მასწავლებელო, მადლობა მინდა გითხრათ როგორც სკოლის დირექტორმა, ასევე მშობელმა და წარმატებები გისურვოთ." ღონისძიების ბოლოს სპორტული სკოლის მოსწავლემ, მეორე თანრიგოსანმა მოჭადრაკემ 10 წლის ლიკა ხუჭუამ ჩაატარა მეგობრული სეანსი ჭადრაკში. ღონისძიება ჭადრაკის თემაზე შექმნილი ლექსებითაც დაამშვენეს პატარებმა და შესანიშნავი ქორეოგრაფიული ნომრებითაც. პატარებს მიესალმა ასევე მუსიკოსი ფოთოლა ჩიქობავა.

"ითმ იკამითგელოთ, აკამითგელოთ ეს საკამითგელო"

ნათია ნაცვლიშვილი

ცოდნის კაბადონს ჩვენი სახით 26 ცელქი და კაშკაშა ვარსკვლავი შეემატაო, გვითხრეს მორთულ-მოკაზმულმა პატარებმა პირველ საჯარო სკოლაში. მასწავლებელი ნანა კუკანია მის მიერ დაფრთიანებულ მეოთხეკლასელთა უკვე მერამდენე თაობას აცილებს. მეოთხე ა კლასის გოგო-ბიჭები ოთხწლიან გარჯას ავკამებენ, პედაგოგებს უდიდეს მადლობას სწირავენ გათეული ღამეებისა და დედობრივი ამაგისათვის. "მოგტაცეთ ახალგაზრდობა და ერთმანეთში გავინაწილეთო", უთხრეს შეგირდებმა ოსტატებს.

დარბაზი ულამაზესად მოურთავთ, ეკრანზე ამ წლების განმავლობაში მოწყობილი საინტერესო შეხვედრა-აქტივობების კადრებმა ჩაიქროლეს. ამ აქტივობებს შორისაა დამეგობრება თბილისის ერთ-ერთ სკოლასთან. მოსწავლეებმა წარმოაჩინეს მათი ცოდნა, ინტელექტუალური შესაძლებლობა, შემოქმედებითობა და ნიჭიერება. თითოეულ მასწავლებელს ექსკლუზიურად მათთვის მომზადებული სიმღერით მიესალმნენ. მუსიკის პედაგოგ სოფიო ახობაძეს "ოთხი გიას" რეპერტუარიდან ერგო მეოთხეკლასელი ბიჭების სიმღერა "განგ, განგ, განგ, ბიჭებისაგან"... სპორტის პედაგოგის პატივსაცემად კი, ცნობილი რუსული მელოდიის მოტივებზე აცეკვდნენ და ამღერდნენ. ყვავილები და სიმღერა ასევე ხელოვნების პედაგოგმა ციცინო ნოზაძემ დაიმსახურა, ინგლისურად და ქართულად მიესალმნენ ინგლისური ენის პედაგოგს ანჟელა ბუაძეს. მოსწავლეებმა უცხო ენაზე უამრავი ანდაზა იციან. საუკეთესონი იყვნენ როგორც ლინდიჰოპისა და ვალსის, ისე ხევსურულისა და აჭარულის ცეკვისას. ისინი პედაგოგებმა ქრისტინე ზაქრაძემ და ჟორიკო პაქსაშვილმა მოამზადეს. პირველ მასწავლებელს ცეკვით მიესალმა მისი გამოზრდილი 4-ივე თაობა. აქვე იყვნენ ისინიც, ვინც წლეულს პირველად შეაღებენ სკოლის კარს. ამ პატარებმა შესანიშნავად იმღერეს. "პირველებო, გზა დაგელოცოთ პირველობისაკენ" _ ეს ამ სკოლის სლოგანია და იგი როგორც უმცროს, ისე უფროსკლასელებს კარგად აქვთ გასიგრძეგანებული. ემიგრაციაში მყოფი სამტრედიელი პოეტის, მარინა ხუჭუას ულამაზესი ლექსით მიესალმა ღონისძიების ბოლოს ნანა მასწავლებელი თავის პატარებს და გზა დაულოცა მათ. "მადლობელი ვარ, მქვია თქვენი მასწავლებელი", _ მიმართა მან ბავშვებს.

სკოლის დირექტორი, ხათუნა ფაილაძე: "ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ სწორედ თქვენნაირ თაობას ზრდის პირველი სკოლა, ძალიან ბედნიერი ვარ იმიტომ, რომ ჩემს გვერდით დგას ნანა მასწავლებელი, მეამაყებით ნანა მასწავლებელო, ასეთ თაობებს რომ ზრდის პირველი სკოლა, ჩემო ძვირფასო კოლეგებო, ყველა თქვენგანით ვამაყობ ძალიან, დიდი მადლობა ჩემო მშობლებო, რომ ამ პატარებს ხვალინდელი დღის არ ეშინიათ. გზა დაგელოცოთ პირველებო პირველობისკენ!"

რომ არა ბატონი თამაზი ვერაფერს შევძლებდით

ქეთევან ჭელიძე

ჭიშკარში შესვლისთანავე იწყება ემოციების დაუფარავი გამოხატვა. აქ არა მარტო მეურნე კაცის შრომისმოყვარეობა, ბუნების სიყვარულით ნასაზრდოები ადამიანის დაუშრეტელი ფანტაზიაც გხიბლავს.

თამაზ გოგიბერიძე ათეული წლები ცდილობდა, საკუთარი ეზო ბალნარად ექცია. ბევრი რამ მოგტაცებს აქ თვალს: სიმწვანე, აყვავილებული ვარდები, თევზებით სავსე აუზი, მდინარე, ეზოს რომ გასდევს, იმიტირებული ტბა მასზე გადასასვლელი პატარა ხიდით, სხვადასხვა ფუნქციური სივრცე, "მომღერალი კასრი", ლხინის მოყვარულებს რომ იზიდავს, ხეზე, ტოტებში ჩადგმული მაგიდა სალხინოდ და სალაღობოდ. არც ფანტანი აკლია ჩვენი რესპონდენტის ეზოს, საკუთარი ხელით რომ შეუქმნია. გალიებიდანაც თავს იწონებენ ჩინური ხოხბები, გვრიტი, მწყერები, თუთიყუშები...



სტუმართმოყვარე კაცია ბატონი თამაზი, ნათესავები, მეგობრები, ახლობლები, უცნობებიც კი სტუმრობენ მას. ორიოდე წლის წინ "მეგობრობის, ძმობისა და სიყვარულის" ფაცხა ააგო ეზოში. ყვავილებით, ფიროსმანის ნახატების ილუსტრაციებით, ყანწებით, შამფურებითა და კიდევ ბევრი სხვა აქსესუარით მორთო კედლები; აქვე სამფეხზე შემოდგმული კარდალაც წარსულისკენ გახედებს და აქვე მაყალზე, შეიძლება, მწვადსაც ადინო ცვარი. თამადისათვის კი სახუმარო, ქორწილისა და მწუხრის აუცილებელი სადღეგრძელოების ნიმუშები გაუკრავს კედელზე. ეს ისე, თორემ ამ ფაცხაში მოთამადეთ სადღეგრძელოები საძებარი არასდროს აქვთ.

ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე სხვადასხვა სახეობის ხე და ყვავილი ხარობს ამ 2500 კვადრატულ მეტრ მიწაზე. ზოგი თვითონ შეიძინა, ზოგიც აჩუქეს თამაზ გოგიბერიძეს.

ტოტებში გახლართულა მზის სხივები, ჩიტების გადაძახილ-გადმოძახილსაც არ აქვს დასასრული. ერთ ლამაზ, მაგრამ სევდიანი სიყვარულის ისტორიას ჰყვება ჩვენი მასპინძელიც, ოლია ჭელიძის ამბავს, მშვენიერი ქალბატონის, რომელიც მისი მამის, ალექსანდრე გოგიბერიძის მეუღლე ყოფილა. უმნიშვნელო ჩხუბმა და სიამაყემ ოჯახი დაუნგრია ახალგაზრდებს. თუმცა სიყვარულს ვერაფერი მოუხერხა ქალმა და ალექსანდრეს სახლის მოპირდაპირედ სწორედ ეს ეზო შეიძინა, რათა, საყვარელი ადამიანისთვის თვალის შევლება ყოველდღე შეძლებოდა.

ალექსანდრე გოგიბერიძემ მეორე ცოლად ნინა ფაილაძე შეირთო. მათ ხუთი შვილი შეეძინათ. ოლია ჭელიძის ერთადერთი ვაჟი, ვილგემი კი 18 წლისაც არ იყო, მეორე მსოფლიო ომში გერმანელებთან საბრძოლველად რომ გაიპარა: ჩემი მეზობლები, მეგობრები იქ არიან და მე სახლში ვერ დავრჩებიო. იქიდან აღარ დაბრუნებულა.

"შამა რომ გარდაიცვალა, ისეთი პატარა ვყოფილვარ, არც მახსოვს, როგორი იყო. დედაჩემს და ქალბატონ ოლიას, როგორც დებს, ისეთი ურთიერთობა ჰქონდათ, მე მას ძალიან ვუყვარდი. ჩემს შვილს ყველაზე უფრო შენ ჰგავხარო, მეუბნებოდა. მე ახლა ჩემი ძმის ნამყოფ ეზოში, მის ნატერფალზე ვცხოვრობ და თუ რამეს ვაკეთებ აქ, ყველაფერს მას ვუძღვნი". _ გვეუბნება ბატონი თამაზი. იმ წარსულთან მას ეზოში, მდინარის პირას შემორჩენილი ერთადერთი კარალიოკის ხეც აკავშირებს, დაკოჟრილ ტანზე სურო წლებად რომ შემოხვევია.

თამაზ გოგიბერიძის ეზო-გარემოში ჩვენი ყოფნის უპირველესი მიზეზი ის ბავშვებია, რომლებითაც ასე ამაყობს მათი მწვრთნელი. მძლეოსნობით დაინტერესებულ მოზარდებს თამაზ მასწავლებელმა, 2 წელია, სათანადო ბაზა შეუქმნა საკუთარ ეზოში და უკვე წარმატებებიც აქვთ. გოგა გოტიაშვილი მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონია 800 მეტრზე რბენაში. გოგა 16 წლისაა და ღანირის საჯარო სკოლის მე-11 კლასში სწავლობს. იგი საქართველოს ნაკრების წევრი გახდა და სექტემბრიდან სასწავლებლად და სავარჯიშოდ თბილისში გადადის.

ბატონ თამაზს 45 წლიანი პედაგოგიური სტაჟი აქვს. ის ჯერ დაბა კულაშის № 92 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ასწავლიდა ფიზკულტურას, შემდეგ _ ქალაქის №1 საჯარო სკოლაში. ამჟამად მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის პედაგოგია. წლების განმავლობაში ბევრი წარმატებული სპორტსმენი აღუზრდია: საქართველოს ხალხთა სპარტაკიადის და საქართველოს ჩემპიონები, საბჭოთა კავშირის პრიზიორი სიგრძეზე ხტომაში ნარგიზ ნემსაძე. მნიშვნელოვანი იყო მის სპორტულ კარიერაში საქართველოს ტელევიზიის პრიზის მოპოვება.

"მუნიციპალიტეტს, ზოგადად მძლეოსნობისთვის ბაზა არ გააჩნია. გადავწყვიტე, ამისთვის ჩემი ეზო გამომეყენებინა. აქ არის სარბენი ბილიკები და სხვადასხვა საშუალებები ბავშვების ფიზიკური წრთობისათვის. კარგ მომზადებას გადიან და წარმატებებიც მოვიპოვეთ. კიდევ მეტ იმედს ვამყარებ მაოზე, ისეთი კარგი მონაცემები აქვთ. ცუდი ის არის, ტრანსპორტირებისა თუ სხვა მიზეზების გამო ქალაქის ბავშვებს ღანირში სიარული რომ არ შეუძლიათ". _ სინანულს გამოხატავს ბატონი თამაზი.

ეზოში უყურადღებოდ არც ის ძველი ვაგონი დაგრჩებათ, სადაც ფიზიკური მომზადებისთვის ტრენაჟორები დგას. ღანირში ტაძრის აღდგენა რომ დაიწყო ბატონმა თამაზმა, ეს ვაგონი მაშინდელია. ცნობისათვის: ჩვენმა რესპონდენტმა სასულიერო სემინარია და აკადემიაც დაამთავრა.

პატარა მძლეოსნები კვირაში 4-5 დღეს აქ ატარებენ. ვარჯიშის შემდეგ "ლელობურთს" თამაშობენ, "მხიარულ სტარტებს" აწყობენ. ყველაზე უფროსი თექვსმეტის, ხოლო უმცროსი ცხრა წლისაა. დიდ იმედს ამყარებს მწვრთნელი სირბილში მარიამ ჯიბაშვილზე. დათო ხაბეიშვილი, საბა და გიორგი გოგიბერიძეები, ლიზი ცინცაძე, ნიკოლოზ ბიბილაური მორბენლები არიან. რეზო ჯაბუა სიგრძეზე ხტომას ეუფლება, ქრისტინე ჯიბაშვილი ბირთვის კვრაში ვარჯიშობს. ისინი სკოლაშიც კარგად სწავლობენ. ერიკო ბარამიძე სულ ცოტა ხნის წინ იმერეთის ჩემპიონი გახდა 200 და 400 მეტრ დისტანციით სირბილში. მათ აკადემიურ მოსწრებას ხშირად ამოწმებს თამაზ მასწავლებელი. გიორგი გოგიბერიძე მისი ახლო ნათესავია, კარგი მონაცემების გამო საჯავახოდან ღანირში წამოიყვანა. ხელის შეწყობისა და გვერდით დგომისთვის ჩვენი რესპონდენტი განსაკუთრებულ მადლობას უხდის ღანირის საჯარო სკოლის დირექტორს, გოჩა დანელიას.

რომ არა ბატონი თამაზი, ვერაფერს შევძლებდითო, _ გვარწმუნებს გოგა გოტიაშვილი და იქვე დასძენს: "მან მე ღანირის საჯარო სკოლაში მნახა. პირველად 100 მეტრი გავირბინეთ, მერე სამტრედიაში წაგვიყვანა შეჯიბრებაზე. ყველდღიური შრომა და ჯაფა გვაქვს და შედეგსაც მივაღწიეთ". გოგა მის მიერ მოგებულ თასს, მაგიდაზე გაშლილ მედლებსა და დიპლომებს გვათვალიერებინებს, მაისურზე გაკეთებულ წარწერაზეც მიგვითითებს, "მაენეს" მეძახიან, საქართველოს ჩემპიონატზე რომ გამოვდიოდი, მაშინ დავაწერეო. გოგა უმცროსი მძლეოსნებისთვის მისაბაძია. თავის მხრივ გვარწმუნებს, რომ ნამდვილი ტალანტები არიან ეს ბავშვები და წარმატებებსაც მალე მიაღწევენ.

ის, რომ მძლეოსნობაში თავიანთ ძალებს მარტო ღანირელი ახალგაზრდები არ უნდა სცდიდნენ და სპორტის ამ სახეობას მეტი მხარდაჭერა სჭირდება, ამის შესახებ მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი ვანო კილტავაც გვესაუბრება: "წარმოიდგინეთ, სპორტის ამ სახეობას სპეციალისტი აღარ შემორჩა სამტრედიაში, ბატონი თამაზი იშვიათი გამონაკლისია. იგი თავის დროზე წარმატებული იყო. ახლაც აქვს მიღწევები, ჩვენ ვამაყობთ ამით. სამტრედიაში კი არა, საქართველოში არ არსებობს სპორტის ამ სახეობისთვის ბაზები. თამაზი საკუთარ ეზოში ავარჯიშებს ბავშვებს. ვისურვებდი, სამტრედიაშიც ყოფილიყოს შესაფერისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფილი საწვრთნელი ბაზა და მეტი მოზარდი იყოს ჩართული სპორტის ამ სახეობაში".

ცამოჯლოჯო ცაიცყოლიო მწერლობა ცაჯანთველოში XII ცაუკუნის წიან

საისტორიო მწერლობის წარმოქმნა ქვეყნის იდეურ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების, ისტორიული წარსულის შესწავლა-გაამქვეყნიურების პრობლემებს დაუკავშირდა. ქართველი მემატიანე ისტორიკოსების წინაშე დგება გადაუდებელი ამოცანები, რომლებიც მათ ყურადღებას მიმართავს ქართველი ერის ისტორიის სწორად ასახვისა და გაგებისაკენ. ვახუშტი ბაგრატიონის შეხედულება _ "მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა", გულისხმობს ძველი ისტორიკოსების მიერ "ჟამთა გარდასულთა" ფაქტების, ისტორიული მოვლენების ობიექტური სისწორით გადმოცემას.

ქართულ საისტორიო თხზულებებში დგება საკითხები, რომლებიც მთელი სიგრძე-სიგანით მეტყველებენ საზოგადოებრივი ინტერესების მრავალმხრივობაზე. აღმოცენდა გარკვეული თეორია ქართველ და კავკასიის ტომთა წარმოშობასა და ნათესაობაზე, მათ საერთო წინაპარზე. იქმნება ჰიპოთეზა ქართული ენის წარმომავლობაზე. ისტორიკოსთა ყურადღებას იპყრობს ძველი ქართული რელიგიური რწმენის საკითხები, რომ ქართველები სხვა ციურ მნათობთა შორის თაყვანს სცემდნენ მზესაც (ლეონტი მროველი). ჩამოყალიბდა ისეთი შეხედულებანი, რომლებიც გარკვეულად უპასუხებენ ქართულ საზოგადოებრივ მდგომარეობასა და სოციალური დიფერენციაციის მიზეზებს.

ქართველი ისტორიკოსები აღვივებენ ინტერესს ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლებისადმი, აღძრავენ სიძულვილს უცხოელი და შინაური მტრების მიმართ. ისინი, ისევე როგორც ქართველი მხატვრული სიტყვის ოსტატები, პირუთვნელად გადმოგვცემენ თავიანთი თანამედროვე მოწინავე ქართული საზოგადეობის განწყობილებას.

უტყუარი ფაქტია, რომ ქართული სამოქალაქო საისტორიო მწერლობა განვითარების მაღალ დონეს IX-XI საუკუნეებში აღწევს. ამისი დადასტურებაა: ბასილი ზარზმელის "სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" და გიორგი მერჩულეს "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება".

ამავე პერიოდს მიეკუთვნება IX საუკუნის უცნობი ავტორის თხზულება "მოქცევაი ქართლისაი", რომლის უძველესი ნუსხა მოთავსებულია ე.წ. შატბერდისეულ კრებულში და წინ უძღვის "წმინდა ნინოს ცხოვრებას". ასე რომ, იგი წარმოადგენს ერთ მთლიან თხზულებას, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება.

საგულისხმოა, რომ "მოქცევაი ქართლისაი" ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არის შესწავლილი. აუარება გამოკვლევა არსებობს მასზე. ამასთან, არაერთხელ გამოცემულიც.

თხზულების პირველი ნაწილი მოკლედ, ქრონიკის სახით გადმოგვცემს საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას უძველესი დროიდან და შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს განსაკუთრებით IV-VIII საუკუნეების შესახებ. მკვეთრ ფერებში აშუქებს მის ცალკეულ მომენტებს _ მეფეთა ზეობას, ქართველის ირანთან თუ ბიზანტიასთან ურთიერთობას, ირანელთა მიერ ქართლის პირველად დარბევას, ვახტანგ გორგასლის მეფობას, ქართლში მეფობის გაუქმებას, ჰერაკლე კეისრის ლაშქრობასა და სხვა. ასევე საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით _ ქალაქთა შენების, არხების გაყვანის, ეკლესიათა აგებისა და სხვათა შესახებ.

თხზულების ეს პირველი ნაწილი წმინდა საისტორიო ხასიათის ნაწარმოებია.

მეორე ნაწილი შედარებით ვრცლად გადმოგვცემს ქართველთა პირველი ქალი განმანათლებლის ნინოს ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მიუხედავად ამისა, ეს ნაწილი მაინც საყურადღებო მასალებს იძლევა. მხოლოდ ქართლის ისტორიისათვის, რადგან საქართველოს სხვა მხარეს მოთხრობა არ ეხება. თხზულების ეს ნაწილი მართლაც უფრო ლიტერატურული ნაწარმოებია, ვიდრე წმინდა ისტორიული. ამიტომ მასში მკვეთრადაა გამოხატული ავტორის ეროვნული ტენდენცია: მშობლიური ქვეყნის განდიდება, მისი ეროვნულ-კულტურული დამოუკიდებლობის დაცვის სურვილი, ქართულ-სომხური საეკლესიო მწვავე კონფლიქტის გადაჭრა ურყევი დებულებით _ საქართველოს განმქრისტიანებელია მხოლოდ ღმერთი და ნინო.

ეს დედაზრი ნიშანდობლივია იმდროინდელი ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნებისა და იდეოლოგიის თვალსაზრისით.

მართალია, "მოქცევაი ქართლისაის" მატიანე შინაარსის მხრივ მეტად ღარიბი და ერთფეროვანი ნაწარმოებია, მაგრამ თავისი განკერძოებული ხასიათითა და მნიშვნელობით ისე მაღლა დგას, შინაარსობრივი სიღარიბე არ იგრძნობა, რადგან მასში მოცემული ზოგიერთი საისტორიო ცნობა, როგორიცაა, მაგალითად, ავტოქტონობის პრობლემა _ ქართველთა სამხრეთიდან მოსვლა და ამერკავკასიაში დამკვიდრება, ცნობები წმინდა ნინოსა და ქართველთა გაქრისტიანებაზე, სპარსთა ბატონობის დახასიათება, ჰერეკლე კეისრისა და ჯიბღუ ხაკანის ლაშქრობა კავკასიაში, თბილისის აღმშენებლობა და სხვა... თავისი მაღალი ღირებულებებით ფარავს მას.

ყურადსაღებია, რომ ავტორი თავის თხზულებას ალექსანდრე მაკედონელის შემოსევით იწყებს და ატარებს იმ აზრს, რომ როდესაც მაკედონელი ვითომც კავკასიაში შემოსულა, ქართველები მაშინდელ ქართლში არ ცხოვრობდნენ. ასე ესმის ავტორს ქართველ ტომთა ბინადრობის საკითხი, რაც მწერლისდროინდელი საზოგადოებისათვის ჩანს, მწვავე პრობლემა ყოფილა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი რწმენით, ეს საკითხი საისტორიო მწერლობის წინაშე არც დადგებოდა. მაგრამ ახალი კითხვა რომ დაისვას, მემატიანე თავის შრომას რატომ მაინცდამაინც ალექსანდრე მაკედონელის დროით იწყებსო, პასუხი უნდა გაეცეს. დიდი ივანე ჯავახიშვილი ამ საკითხს გვიხსნის ასე:

ჩვენს უცნობ ისტორიკოსს განზრახვა ჰქონია, დაეწერა ქართველთა ისტორია მხოლოდ მათი კავკასიაში დასახლების ხნიდან მოყოლებული და მის წინა დროს ამის გამო არ შეხებია.

ეს სწორია, მაგრამ დასაშვებია ახსნის სხვა ვარიანტიც: ავტორს შესაძლოა, ხელთ არ ჰქონოდა ალექსანდრე მაკედონელის წინადროინდელი ეპოქების გადმომცემი საისტორიო წყაროები, იქნებ არც ზეპირი მასალები მოეძევებოდა, ხოლო საკუთარი ფანტაზიით ამ სიცარიელის შევსებას შეგნებულად აერიდა. ერთი სიტყვით, რაც ჰქონდა, იმით ისარგებლა. შესაძლოა, ცნობა ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობის შესახებ ჩვენს მემატიანეს მართლაც შეტანილი ჰქონდა ბიზანტიელი მწერლის კალისთენის რომანის "ალექსანდრიანის" გავლენით, იმისი კვალი იყოს და ამიტომ იწყებდეს თხრობას მაკედონელის ხანიდან.

მკვლევართა საერთო აზრით ხაზგასმულია, რომ თხზულების ავტორი საკმაოდ ნაკითხი ყოფილა როგორც საღმრთო წერილში, ისე სხვადასხვა საისტორიო ლიტერატურაში. მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ეს თავის დროზე დიდმა მეცნიერებმა ივ. ჯავახიშვილმა და კ. კეკელიძემ გაარკვიეს, ავტორს ზოგიერთი ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები მაინც მოსვლია. მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა კავკასიაში მას უტყუარ ფაქტად მიუჩნევია, შუშანიკისა და ვარსქენ პიტიახშის ეპოქის განსაზღვრაში ერთი საუკუნით ცდება, ქალაქი ბაღდადი მოხსენებული აქვს, როდესაც ეს ქალაქი ჯერ კიდევ დაარსებული არ ყოფილა. სწორი არ ჩანს ჩამოთვლილ მეფეთა სია, თხზულებაში მოხსენებული აბიათარი, სიდონია და იაკობი ამ ამბების მხილველნი ვერ იქნებოდნენ, რასაც ისინი მოგვითხრობენ.

რის გამო უნდა მოსვლოდა ეს შეცდომები ავტორს? საფიქრალია იმის გამო, რომ თვით საისტორიო წყაროები, რომლებსაც ის შრომის შედგენისას ეყრდნობოდა, ასეთ მცდარ ცნობებს შეიცავდნენ, ან წერილობითი წყაროები საერთოდ არ გააჩნდა და საკუთარი ფანტაზიით, წარმოდგენებით ხელმძღვანელობდა. ამგვარ და სხვა ვითარებაში შეცდომები მოსალოდნელია და არც გასაკვირია.

ხაზგასმით აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, რომელსაც ამ წერილობითი ძეგლის პირველი კრიტიკული განხილვა ეკუთვნის, რომ მკვლევარი "მოქცევაი ქართლისაის" მატიანის ცნობებს დიდი სიფრთხილით უნდა მოეპყრასო... როგორც ივია პირველი დიდი ქართული წყარო, რომლითაც XI საუკუნის ისტორიკოსს ლეონტი მროველს თავისი შრომის დასაწერად უსარგებლია, მროველის ისტორიით იხსნება "დევკაცთა ნამამაცარი" დიდი წიგნი "ქართლის ცხოვრება". მისით სარგებლობენ აგრეთვე ამავე საუკუნის ისტორიკოსები ჯუანშერი და სუმბატ დავითის ძე. ყოველივე ეს "მოქცევაი ქართლისაის" უდავოდ დიდი ღირსებაა.

ზემოთ აღინიშნა "მოქცევაის" ავტორის ნაკითხობაზე. მიემატოს უნდა ისიც, იგი საკმაოდ გაწვრთნილი ყოფილა საისტორიო მასალების დამუშავებაშიც. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ თხზულების ავტორი ასახელებს წყაროებს (ჭელიშური ვარიანტი), რომელთაც ეყრდნობა. მაგალითად, ჯვრის აღმართვის ამბავთან დაკავშირებით მითითებული აქვს გრიგოლ დიაკვნის "მოკლედ აღწერილი ქართლის მოქცევის წიგნი", კავკასიაში სპარსელ-ხაზართა შეჯახების გამო ამბობს, რომ "ესე აღწერილი გამოკრებილად არს"-ო. მართალია, ჩვენთვის უცნობია როგორც გრიგოლ დიაკვნის, ისე ის ნაწარმოებები, საიდანაც ჭელიშური ვარიანტის ავტორს უნდა "გამოეკრიბა" ცნობები, მაგრამ თვით ეს ფაქტი, რომ ამის შესახებ მას სცოდნია, ან ეს ცნობები ხელთ ჰქონია და მისი გამიზნულად მოხმარებაც შესაძლებია, ისტორიკოსის ფართო შესაძლებლობაზე, მის ჭეშმარიტ დახელოვნებაზე უნდა მიუთითებდეს.

ერთ-ერთი საყურადღებო საისტორიო წყარო, რომლითაც იხსნება "ქართლის ცხოვრების" კრებული, არის XI საუკუნის ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულება, რომლის სრული სახელწოდებაა "ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა" (პირველი ნაწილი) და "მოქცევაი მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ" (მეორე ნაწილი).

ლეონტი მროველისა და მისი ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ ჯერ რნნობით მხოლოდ ეს ერთი ცნობა არსებობს "ქართლის ცხოვრების კრებულში", "ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება, და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა".

ამ ამონაწერში ლეონტის სამი ცნობაა ჩამოთვლილი, რომელთაგან წმინდა საისტორიო ხასიათისაა "ცხოვრება ქართუელთა მეფეთა". იგი საკმაო და ვრცელი თხზულებაა, სადაც წარმოდგენილია საქართველოს ისტორია უძველესი პრეისტორიული ხანიდან _ ბიბლიური ნოეს შვილების დროიდან კაცობრიობის მომრავლებამდე, ქრისტეს დაბადებიდან VI საუკუნის 30-იან წლებამდე. სახელდობრ, სპარსელთა მიერ ქართლში მეფობის გაუქმებამდე.

ლეონტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღის შესახებ დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ მეცნიერთა ბოლოდროინდელი დაკვირვებით ლეონტი მროველი, როგორც ისტორიკოსი და მოაზროვნე, ახალი საქართველოს ნაყოფია. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით მხოლოდ დაახლოებით შეიძლება განისაზღვროს დრო, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩვენი ისტორიკოსი. მისი დასკვნით, შეუძლებელია, ლეონტი მროველს XI საუკუნეზე ადრე ეცხოვრა.

პატრიოტი ისტორიკოსი თავის შრომაში საერთო სახალხო ენის მეშვეობით გაერთიანებული ქვეყნის სურათს გვიხატავს. თხზულება დაწერილია სახელდებული მეფის ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ. ეს იყო დრო, ვითარება, როცა ასეთი შრომის შექმნას აუცილებლად ითხოვდა ის საზოგადოებრივი წრე, რომელშიც ისტორიკოსი ცხოვრობდა და ითხოვდა, იმიტომ, რომ იმხანად ქართულ საისტორიო მწერლობაში მხოლოდ ერთი შრომა არსებობ-და _ სუმბატ დავითის ძისა, სადაც საქართველოს ისტორია მოყვანილი VI საუკუნიდან ბაგრატ მეოთხემდე, ხოლო პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად აყვავების გზაზე დამდგარი საქართველო საჭიროებდა იმის შეგნებულად, ძირფესვიანად გააზრებასაც, ქართველები საიდან მოვიდნენ, სად იდგნენ და საითკენ უნდა ევლოთ, ვინ და რანი ვიყავით. უნდა ვიფიქროთ, ამ აზრითა და იმის გასარკვევად შეიქმნა ლეონტის შრომა. მართებულია ის შეფასება, რომ ლეონტი იდეოლოგიური მებრძოლი იყო საქართველოს პოლიტიკური პროგრესისათვის.

თავის თხზულებაში ჩვენი მეისტორიე არსებითად ოთხ ძირითად საკითხს ეხება. უპირველესად მას მოძებნილი აქვს ქართველებისათვის გარკვეული ადგილი კაცობრიობის ისტორიაში _ ქართველები გამოჰყავს ნოეს შვილი იაფეტისაგან; არკვევს, რა ურთიერთობა არსებობს კავკასიაში მობინადრე ხალხებს შორის, უჩვენებს, საიდან და როგორ წარმოიშვა ქართული ენა; თავისებურად გვიხსნის როდის, როგორ და საიდან გაჩნდა საქართველოში წოდებრივი უსწორმასწორობა; იძლევა ზოგიერთ საინტერესო და განსხვავებულ ცნობებს ქართლის ზოგ პროვინციაში ახალი რელიგიის ძალით გავრცელების შესახებ.

ყველა ეს საკითხი ლეონტი მროველისათვის და მის დროინდელი ქართველი განათლებული წრისათვის მეტად საგულისხმო ყოფილა. აღსანიშნავია, რომ ავტორმა ამ საკითხებს დროის კვალობაზე საკუთარი პოზიციიდან უპასუხა, დაავჯერა საზოგადოება პრობლემის ჭეშმარიტებაში; მკვიდრი ნიადაგი გამოუძებნა მისი თვალსაზრისით წამოყენებულ თეორიებს.

ჩვენი რწმენით, ლეონტი მროველმა, როგორც ისტორიკოსმა, ქვეყნის პატრიოტობა იტვირთა. ისეთი დიდი საისტორიო შრომა, როგორიცაა ლეონტის "ცხოვრება"... ავტორის ეპარქიას დაშორებული თითქმის უხსოვარი დროიდან, ცარიელ ქაღალდზე მარტო კალმის მოსმით ვერ, არ დაიწერებოდა. ეს კარგად სცოდნია თვით მროველს და თავისი შრომის დასაწერად უსარგებლია როგორც ბერძნული, ისე სპარსული და საკუთრივ ქართული წერილობითი წყაროებით. ქართულ წყაროთაგან ხელთ ჰქონია უცნობი ავტორის "მოქცევაი ქართლისაი". ამის შესახებ ლეონტი ერთ ადგილას კიდეც ამბობს: "წერილ არს ესე, განცხადებულად მოქცევასა შინა ქართლისასა"-ო.

მიუხედავად ამისა, ლეონტის ეს შრომა ჩვენთვის მაინც საყურადღებოა როგორც ლიტერატურული ძეგლი. მასში დაცულია ქართული ხალხური ეპოსის უძველესი ნიმუშები. მაგალითად, ასეთებია: ფარნავაზის სიზმარი, განძის პოვნა, ქართლის მეფე-ბუმბერაზთა მტრებთან შეტაკების აღწერილობა; აქვეა თქმულებანი და შეხედულებანი, რომელნიც იმდროინდელი საზოგადოების გარკვეული ნაწილის გონებრივ ინტერესებსა და სულისკვეთებას გვისურათებენ.

ნაშრომი შესრულებულია სხარტი, ლაკონური ენით. მაღალოსტატურია მხატვრული შედარებები, თუნდაც ავიღოთ ერთი ასეთი სურათი ქართლოსიანჰაოსიანთა ნებროთ გმირთან ბრძოლისა: "იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რომელი ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა. რამეთუ მტვერი ფერხისა მათისა, ვითარცა ელვა ცისა, ხმა პირისა მათისა ვითარცა სიტყუა ხშირი და დათხევა სისხლისა მათისა, ვითარცა ღუარი სიტყუათა".

საგულისხმოა, რომ ამა თუ იმ პერსონაჟის შინაგან თვისებათა აღწერასთან ერთად ავტორი ხშირად მის გარეგნულ პორტრეტულ აღწერილობასაც იძლევა, მაგალითად: "ესე მირვან იყო ტანით სრული, მშვენიერი, ძლიერი, მხნე და ქუელი".

ავტორი ხშირ შემთხვევაში მიმართავს ხოლმე, დიალოგურ მეტყველებას, რასაც მის თხზულებაში კანონზომიერად შეაქვს დრამატიზაციის ელემენტები. ასეთია, მაგალითად: "მაშინ მირიან იტყოდა სარჩლად. პირმშო შვილი ვარ მე მამისა ჩემისა და საუფლისწულოდ ებოძნეს ქუეყანანი უცხონი მკლავითა წახმულნი, და მუნ ყოველნი დღენი ჩემნი დამიყოფიან ბრძოლასა შინა ხაზართასა, და მრავალგზის სისხლითა ჩემითა დამიცავს სპარსეთი ხაზართაგან. ამისთვის ჩემი არს საყდარი მამისა ჩემისა". ამას მოპაექრე ასე უპასუხებს: "თუმცა პირმშო მირიან არს, არამედ ნაშობი არს მხევალისა, და ნაშობსა მხევალისასა ეყოფის სუედ რომელ მას მიხდომიან სამეფონი, ხოლო მე ნაშობი ვარ ჰინდოთა მეფისა ასულისა, სპარსთა დედოფლისა, და მოგისმენია ანდერძი მამისა ჩემისა, და მოგინახავს, რამეთუ ხელითა მისითა დამადგა გვირგვინი თავსა ჩემსა".

მდიდარია თხზულების პოეტური აქსესუარი, რომელიც მას აძლევს საერო ლიტერატურისადმი გარდამავალი საფეხურის ხასიათს. ასეთად გვესახება თხრობის საიდუმლოება, ლაპიდარიზმისა და ფრაზის ექსპრესიულად აჟღერება. საერთოდ არა მხოლოდ დიდი სახელების _ ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებათა, არამედ მთელი "ქართლის ცხოვრების" ენა იმდენად ხატოვანია, დროდადრო გავიწყდება, რომ ისტორიულ თხზულებას კითხულობ.

გალერიან ოდევზაძე
ფაზისის სამეცნიერო
აკადემიის აკადემიკოსი

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ დავით დვალიშვილს ძმის, ბატონ

პეტე დვალიშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ქალბატონ მანანა მსხილაძეს დედის, ქალბატონი

ალინა მსხილაძის

გარდაცვალების გამო.

ნუნუ უჯმაჯურიძე!

მწუხარებით გემშვიდობებით ჩვენო კეთილო, ალალო, უბოროტო ქალბატონო, დაუვიწყარი იქნება ჩვენი ოჯახების მეგობრობა.

მართალთა ზეციურ სამყოფში დაავანებს არსთა გამრიგე შენს სულს. ნათელში იყავი ჩვენო ნუნუ.

გულისტკივილით: ლევანი, ირა, ჯიანლი გაბაჩავები, თეიმნა, მანანა კუბლაშვილები

სამტრედიელი კარატისტი გოგონების წარმატება ევროპის ჩემპიონატზე

2017 წლის 27-28 მაისს რუმინეთის ქალაქ ტულკიაში ჩატარდა კარატეს საერთაშორისო ორგანიზაცია სრულიად იაპონიის კიოკუშინის კავშირის მე-10 ევროპული ჩემპიონატი კიოკუშინკაი კარატეში. მასში მონაწილეობას ღებულობდა 16 ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტსკოლის კარატეს ჯგუფის წევრები მანანა მუქერია და მარიამ გოგიტაური.

წარმატებით იასპარეზა მანანა მუქერიამ, რომელმაც დაიკავა მე-2 საპრიზო ადგილი, ხოლო მარიამ გოგიტაურმა დაიკავა მე-4 საპრიზო ადგილი.

***

2017 წლის 2-3 ივნისს ქ. ბათუმში ჩატარდა აჭარის ღია ჩემპიონატი კიოკუშინკაი კარატეში, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 14 ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები, მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტსკოლის კარატეს ჯგუფის წევრები. წარმატებით იასპარეზა მანანა მუქერიამ და მარი გოგიტაურმა. ორ-ორი მოგების შემდეგ 13-16 წლის გოგონებს შორის, აბსოლუტურ წონით კატეგორიაში, ფინალურ ორთაბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ სამტრედიელი კარატისტი გოგონები. პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა მანანა მუქერიამ, მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა მარიამ გოგიტაურმა. ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მედლებითა და თასებით.

მიხეილ ქანთარია

გოგი წულაია:

ქვეყანას უნდა ვუშველო,
ხალხს მოვევლინო მხსნელადა,
გვჭირდება "კვატა" ტყემალში
და ღვინო ერთი ხელადა.
პრასი ჩვენცა გვაქვს, დავსხდებით,
მოვილხენთ, როგორც გვჩვევია,
მერე საქმესაც მივხედავთ,
ბურთ-მოედანი ჩვენია...

შ. პაპავა

ჩოხოსნები

ფეხბურთის თამაშობენ სამტრედიაში

უხსოვარი დროიდან თამაშობს ფეხბურთს კაცობრიობა.

შორს წაგვიყვანს იმ სახელოვან ქართველ ფეხბურთელთა თუნდაც გვარ-სახელების ჩამოთვლა ლამაზი თამაშით რომ აღუფრთოვანებიათ სპორტის ამ სახეობის ათასობით გულშემატკივარი.

პატივს სცემენ, უყვართ, თამაშობენ ფეხბურთს სამტრედიაში.

ამ დღეებში ორი ახალგაზრდა გვეწვია რედაქციაში და მოკრძალებით ისაუბრეს საკუთარ წარმატებებზე.

ლუკა შენგელია მე-4 საჯარო სკოლის მე-10 კლასში გადავიდა. ფეხბურთს ხუთი წლიდან თამაშობს. ამჟამად სამტრედიის "სამტრედიას" (15 წლამდელები) კაპიტანია. გუნდის მწვრთნელები ბატონები ევგენ დოლიძე და კობა მიქაძე არიან.

მეთერთმეტე საჯარო სკოლის მე-10 კლასში გადავიდა კარლო აბშილავა, ისიც ამ გუნდის წევრია. დიდია ლუკასა და კარლოს წვლილი გუნდის საერთო წარმატებებში.

ამ დღეებში ნორჩმა სპორტსმენებმა კიდევ ერთი წარმატებით გაგვახარეს, კერძოდ, ქუჩის ფეხბურთში გამართულ რეგიონულ ტურნირში "CYNC _ სპორტი ბარიერების გარეშე" პირველი ადგილი დაიკავეს და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ შესაბამისი ჯილდოები დაიმსახურეს. ტურნირის ორგანიზატორთა მიერ გუნდი ანაკლიაში გასამგზავრებლად 7 დღიანი საგზურითაც დაჯილდოვდა.

გუნდის კაპიტანი გარჯას არ უკარგავს მეგობარ ფეხბურთელებს და თითოეულის შესახებ სითბოთი საუბრობს.

რაც შეეხებათ ბატონებს ევგენ დოლიძესა და კობა მიქაძეს, მათ შესახებ მათ წვლილსა და დამსახურებაზე გუნდის წარმატებებში, დაუსრულებლად საუბრობენ ლუკა და კარლო.

წარმატებებს ვუსურვებთ ნორჩ ფეხბურთელებს, ვიმედოვნებთ ლამაზი თამაშით არა ერთხელ გაახარებენ ფეხბურთის გულშემატკივრებს, ასახელებენ მშობლიურ სამტრედიას და გარჯას დაუფასებენ მათ, ვინც ზრუნავს, იღვწის ფეხბურთს პოპულარიზაციისათვის, ახალგაზრდა ფეხბურთელთა აღზრდისათვის.

ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტურნირში სამტრედიელი სპორტსმენების ჩართულობას ორგანიზება მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის სამსახურმა და კომპლექსურმა სპორტულმა სკოლამ გაუწია.

_ ფეხბურთის გარდა შეჯიბრი გაიმართა ჭადრაკში, კალათბურთსა და 60 მეტრზე რბენაში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველა ნომინაციაში საპრიზო ადგილები სამტრედიელმა სპორტსმენებმა დაიმსახურეს, რაც უდავოდ მისასალმებელია, აღნიშნა ჩვენთან საუბარში მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპეციალისტმა სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხებში ეკატერინე კოკაჩეიშვილმა.

ლევან გაბეჩავა

გვანცა სანაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ ჩვენო საყვარელო გვანცა! "მაცნეელებისათვის" ძალზე სასურველი და ძვირფასი სტუმარი ხარ, სიყვარულს ურიგებ გარშემომყოფთ. ბედნიერება და ღვთის მფარველობა არ მოგკლებოდეს, სიკეთე იყოს შენი მარადიული მეგზური!

"სამტრედიის მაცნე"

ვულოცავთ!

ქალბატონ ნათელა გელეიშვილს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ღირსეულო ქალბატონო, იხარეთ, იდღეგრძელეთ საყვარელ ოჯახთან ერთად.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა

სახელოვან იუბილეს გილოცავთ ღვაწლმოსილო ქალბატონო. უფალმა გაგაძლიეროთ!

მიგანტი ბიბილეიშვილი ლეჯანით

მზევინარ ბოხუას!

დაბადების დღეს ვულოცავთ გაზეთის ერთგულ მკითხველს, კარგ მეგობარს, გონიერ და დასაყრდენ ხელმძღვანელს, მოყვასის მოყვარულს და გულშემატკივარს. ვუსურვებთ წარმატებებს ოჯახურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. უფლის წყალობა და მფარველობა არც მომავალში მოგკლებოდეს.

"სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა